დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა წაგვაზაოს საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

წევრები:
ხათუნა საყვარელიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
შორენა გაგუა-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)-
ელისო ვადაქარია- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
თამთა პეტრიაშვილი- (უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი)
შორენა ტყემალაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
მარინე ახალაია- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
მანანა როსტომაშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)
ლია ციცქიშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ლია ნეფარიძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235444079

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მარტვილი სოფელ ქვედა ნაგვაზაო
იურიდიული მისამართი	მარტვილი სოფელ ქვედა ნაგვაზაო
ფაქტობრივი მისამართი	მარტვილი სოფელ ქვედა ნაგვაზაო
საფოსტო ინდექსი	3123
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1631?schoolNam
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kvedanagvazao@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577125800

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 23 0001013683 21/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	9-10 ოქტომბერი. 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	მარტვილი სოფელი ქვედა ნაგვაზაო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	მარტვილი სოფელი ქვედა ნაგვაზაო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	მარტვილი სოფელი ქვედა ნაგვაზაო

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარემ teams-ში და სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფები. იგი კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე - საჭიროებიდან გამომდინარე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რისი გაცნობაც ექსპერტებმა ვიზიტამდე საჭიროდ მიიჩნიეს. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ცენტრის საშუალებით ჯგუფისთვის მიწოდება. პირველადი დოკუმენტაცია იყო მოცულობითი, რამაც ექსპერტებს საშუალება მისცა სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასება გაეკეთებინა. დოკუმენტაცია სტანდარტების მიხედვით იყო დახარისხებული, რაც აადვილებდა მრავალრიცხოვან დოკუმენტაციაში შესაბამისი მასალის მიგნებას.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ისეთი დოკუმენტები, რაც ვიზიტამდე არ ჰქონდა წარმოდგენილი. ეს დოკუმენტებია: შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, საგნობრივი კურიკულუმების შესწორებული ვერსიები, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. და სხვ.

სკოლის კათედრების წევრებთან საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი გეგმის შესაბამისად წარიმართა. ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით გაცემული რჩევები მყისიერად იქნა გათვალისწინებული.

 სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების "შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად. სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად ისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლაში არის გამართული ინფრასტრუქტურა და მოსწავლეს სკოლაში ხვდება კეთილგანწყობილი, მოტივირებული სასკოლო საზოგადოება;

- სკოლას გააჩნია სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ტარდება სხვადასხვა პროექტი თუ შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურადაა ჩართული;
- სკოლა ჩართულია როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში;

- სკოლის სპორტულ გუნდებს აქვთ წარმატებები მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში;
- პროფესიული ორიენტაციის მიზნით სკოლაში მოქმედებს ეკო-კლუბი, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაცია ,,აფადი“ -სთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე სკოლაში დაარსებულია აგრო-კლუბი, რომლის ფარგლებშიც სკოლის ეზოში გაშენდა ხეხილის ბაღი;
- STEM - პროექტის ფარგლებში ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა დაინერგა სკოლაში

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250 ----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

* სტანდარტი N1*	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებსი რეაგირებ და პირველადი დახმარების აღმოჩენ*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმა მითითებულ დროში 2024 წლის 9 მარტს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ უფლებამოსილ ორგანოსთან უკვე შეთანხმებულ ჰქონდეს.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია სკოლ მიერ შესაბამისობის გეგმაში მითითებუ დროში 2024 წლის 30 აგვისტოს, დასკვ შენობა-ნაგებობების სახანძრ*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	საგანგებო სიტუაციებსი რეაგირებ *და პირველადი დახმარების აღმოჩენ*	*უსაფრთხოების მოთხოვნებთ* *შესაბამისობის შესახებ უკვე ჰქონდეს.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც***
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ* *სტრატეგიული მიზნებისა* *ამოცანების შესაბამისი აქტივობებ* *შესრულების გაზომვად* *ინდიკატორები, რეალისტურ* *ვადები, პასუხისმგებელ*	*სასურველია, სკოლამ გამოყოს ინდიკატორებ* *რომლითაც იზომება თითოეული აქტივობა და ასევ* *გამოყოს შესაბამისი რესურსები, რომელ* *უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.*

	პირები/სტრუქტურული ერთეულებ *და სესაგამისი რესურსები, რომელ* *უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებ მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სასურველია, სკოლამ დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის N 2-33 გრძანებაში ცვლილების შედეგა ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია დ სტრუქტურული პირებიდან სკოლის დირექტორ ფუნქცია-მოვალეობებიც გაწეროს.*
ინდიკატორი N3.3.1.2.	*იდენტიფიცირებულია დ აღწერილია სკოლ საგანმანათლებლო საქმიანობასთ დაკავშირებული მმართველობით ძირითადი და დახმმარე პროცესები*	*სასურველია, დოკუმენტში „სკოლ საგანმანათლებლ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითადი და დამხმარ პროცესები“ დეტალურა გაიწეროს სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებ და მათი აღმწერები.*

ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლას ვურჩევთ, შრომის უსაფრთხოებ სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოებ ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებ ღონისძიებების დანერგვასა და მართვას, დაასაქმ სკოლაში.*
ინდიკატორი 3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფ საგანმანათლებლო საქმიანობისთვ შესაბამის ინფრასტრუქტურასა დ მატერიალურ რესურს მინიმ ავტორიზაციის ვადითა დ დადგენილი მოსწავლე ადგილების ზღვრული რაოდენობ გათვალისწინებით*	*სკოლას ვურჩევთ უახლოეს ვადებში განაახლოს სკოლის ნახაზი, შენობა-ნაგებობის სქემ*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრუ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ*	*რჩევა: 1) მუსიკის, სახვითი დ გამოყენებითი ხელოვნების III და IV კლას კურიკულუმებში, იმ კომპლექსურ*

	ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრ ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგებ	დავალების ფარგლებში, რომელ კურიკულუმის მიხედვით ხორციელდებ მიეთითოს ძირითადი კონტექს მაგალითები. 2) I-II-კლასების მუსიკ საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსებ ველში,მიეთითოს გრიფირებულ სახელმძღვანელოს გამომცემლობ შესაბამისი თემის/საკითხის გვერდები.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	*განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასება მიემართება გრძელვადი მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირე*	*სკოლას ვურჩევთ, საგნებში მუსიკა და სახვით და გამოყენებით ხელოვნება, მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსური დავალების ფარგლებშ რომელიც კურიკულუმის მიხედვი განხორციელდება.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარია სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც დეკლარირებულია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში და რაც გასაჯაროებულია საინფორმაციო დაფასა და სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მისიითა და ხედვით განსაზღვრულია, რომ სკოლამ უნდა მოახდინოს ხარისხიანი განათლებით მაღალი ღირებულებების მქონე ახალგაზრდების აღზრდა. სკოლის ხედვის მიხედვით თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეიძინოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება და რეალიზება ცხოვრების განმავლობაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ყველა მოსწავლისთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა. სკოლა მოსწავლეებისთვის აწარმოებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და

კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლაში დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები, სადაც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის განვითარების დონე და საჭიროებები. სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპით შექმნა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალურად უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე, სადაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლა ხედავს თავის როლს და მნიშვნელობას, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის წარმოადგენდეს უსაფრთხო სივრცეს, ამასთან სივრცეს, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელი თითოეული წევრის პიროვნულ განვითარებაზე. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, ხდება მათი წარმატების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლაში განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, საკლუბო და სპორტული აქტივობები ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას. დაგეგმილია კულტურულ-საგანმანათლებლო და რაიონულ ღონისძიებებში მონაწილეობა. მიმდინარე პროექტის მონიტორინგისა და შედეგების ანალიზი გამოიყენება შემდეგ სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტის დაგეგმვის პროცესში. სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული არასამტავრობო ორგანიზაცია ,,აფადი"-სთან. მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში დაარსებულია აგრო-კლუბი. კლუბის აქტიურობით სკოლის ეზოში გაშენდა ხეხილის ბაღი. პროექტებით სწავლება სკოლის ძლიერი მხარეა, წლების განმავლობაში დანერგილი პრაქტიკაა და მუდმივად ხორციელდება საკლასო, სოციალური, თემის საჭიროებებზე დაფუძნებული პროექტები, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული კომპეტენციებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, ქმნის ჯანსაღ, თანამშრომლობით გარემოს და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული თუ მოქალაქეობრივ განვითარებას. სკოლა მომავალშიც პროექტებსა და სასწავლო პროცესებს დაგეგმავს ახალი მისიის შესაბამისად.

სკოლაში განხორციელებული ვიზიტისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტებისა და პროგრამების სახით. სასკოლო გარემო ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობას. თვალსაჩინოა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინიციატივები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზრვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. 2023 წლის 15 სექტემბრის სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N 2-38 აქტით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. მასწავლებლები მორიგეობას განრიგის მიხედვით ასრულებენ. სკოლას აქვს ორსართულიანი შენობა. სკოლის შენობა სრულად ახალი რეაბილიტირებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა უზრუნველყოფილი. შენობა კეთილმოწყობილია სპორტული დარბაზით, ორი სპორტული მოედნითა და ეზოთი. სკოლაში ამჟამად 28 სათვალთვალო კამერაა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრებზე, რომლის ჩანაწერებიც სკოლის დარაჯის ოთახშია დამონტაჟებული. სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. აღჭურვილია სახანძრო ბალონებით. სკოლას იცავენ დარაჯები. არსებობს სრულად განახლებული და ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სკოლას 2021 წლის მარტიდან ჰყავს 1 ექიმი. სსსმ მოსწავლეებისთვის გამოყოფილია რესურს ოთახი. მათთვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლას აქვს პანდუსები და ლიფტი. სპორტულ დარბაზშიც გადაადგილება სესაძლებელია ლიფტის საშუალებით. ამჟამად, სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. პედაგოგები ქმნიან ინკლუზიურ გარემოს, რომელიც მორგებულია ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს სკოლაში მომსვლელთა ვიზიტები

ვიზიტორთა ჟურნალში ტარდება. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს ცნობილი გახდა, რომ პანდემიის პერიოდში მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კიდევ უფრო შეზღუდული იყო გარეშე პირთა ვიზიტები. არსებობდა საიზოლაციო ოთახი. სკოლაში აქტიურად იმართება სასკოლო თუ სათემო ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. სკოლის აქტივობები ასახულია სკოლის ფეისბუქგვერდზე. სკოლაში მიმდინარე პროცესები ეყრდნობა ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა ხდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის განცდის მისაღწევად სკოლაში სხვადასხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე იდენტიფიცირებულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილია და მუშაობდა მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი. ჯგუფთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც. სკოლა თვითშეფასების დროსაც აღნიშნავდა, რომ სკოლის მისიისა და ხედვის რევიზიისა და ცვლილებების განხორციელების მიზნით გეგმავდა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის განახლებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში აესახა ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმაც დაადასტურა, რომ პასუხისმგებელმა ჯგუფმა უკვე იმუშავა და 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას უკვე ჰქონდა დამტკიცებული და განახლებულ სასკოლო სასწავლო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა, თანამშრომელთა და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობით სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დასრულებული დოკუმენტი უკვე დამტკიცებული იყო, რაც დასტურებდა ინტერვიუებითა და მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და შვიდწლიანი სტრატეგიურლი გეგმის შემუშავების პროცესში, მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმის პროექტი დაეგზავნა სკოლის საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე მუშაობდა პასუხისმგებელი ჯგუფი და ამ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, ამით უკვე შექმნილია თანაშემოქმედებითობის განცდა. ჯგუფმა ინტერვიუს მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის ხელმძღვანელებმა მსობელთა კრებებზე პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს და გააზიარეს განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც ასახულია სკოლის მისია, ხედვა დაღირებულებები, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. იგი გამოკრულია სკოლის შენობაში, საინფორმაციო დაფაზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ასევე, სკოლის მისია ორივე სართულის ფოიეებში, თვალსაჩინო ადგილას დიდი ასოებითაა გამოკრული. ხოლო, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები სკოლის ვებ-გვერდზეა ატვირთული და გასაჯაროებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს: სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. მშობელთა კრების ოქმი N1, სადაც გაზიარებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
5. მასწავლებლის კითხვარი
6. მოსწავლის კითხვარი
7. მშობლის კითხვარი
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც 2023 წლის 13 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს N 5 ოქმით შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბერს N 2-40 ბრძანებითაა დამტკიცებულიადა და სადაც გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა აქვს წარმოდგენილი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 7 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს N 4 ოქმით. სკოლამ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ვიზიტის განხორციელების პერიოდში წარმოადგინა, თუმცა, ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად მანამდეც ჰქონდა გასაჯაროებული სკოლის ვებ-გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნებისა და სკოლის მიერ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული დიაგნოსტიკური თვითშეფასების საფუძველზე და რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 7 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს N 4 ოქმით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს: აქტივობებს, ამოცანების განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებს; ვადას, რომლის პერიოდშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობა; პასუხისმგებელ პირებს, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობაზე. <u>თუმცა, სასურველია, სკოლამ გამოყოს ინდიკატორები, რომლითაც იზომება თითოეული აქტივობა და ასევე, გამოყოს შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.</u> **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების პასუხისმგებელი და სტრატეგიული განვითარების ჯგუფის ბრძანება

2. მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

3. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

4. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. ერთ-ერთი ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ანგარიშების წარდგენასა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი, გაზიარებული და გასაჯაროებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სამოქმედო გეგმა საჯაროდ საინფორმაციო დაფაზეა გამოკრული. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ, ასევე - სასწავლო მხარესაც. გარდა ამისა, სკოლა ცდილობს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. ასევე, სოციალური ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით ხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება, რაშიც, სკოლის ფეისბუქგვერდის დამთვალიერებელი ნებისმიერი ადამიანი დარწმუნდება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. პასუხისმეგებელ ჯგუფთან ინტერვიურებისას დგინდება, რომ მასწავლებელებისა და სრტუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშებს/რეფლექსიას სკოლა იყენებს მომავალი ქმედებების დასაგეგმად. შესაბამისად, დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიც, სადაც ხდება გამოწვევების გამოკვეთა, არის საშუალება მომავალ სამოქმედო გეგმაში აქტივობების დასაგეგმად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

2.შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

3. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. სამეურვეო საბჭოს ოქმი N 6 - სკოლის დირექტორის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა, რომელიც შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაშია და მასთან ერთადაა დამტკიცებული. სკოლის სტრუქტურა სკოლის ვებ-გვერდზეცაა გასაჯაროებული. სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მათი საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, ასევე სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების განმსაზღვრელ დოკუმენტსა და სკოლის ხარისხის ჯგუფის დებულებაში. დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-33 ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებლის, სპეც.მასწავლებლის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, კლასის დამრიგებლის, დარაჯის, დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, ფუნქციები და კვალიფიკაციები. *სასურველია, სკოლამ დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-33 ბრძანებაში ცვლილების შედეგად ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია და სტრუქტურული პირებიდან სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებიც გაწეროს.* შესაბამისად, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ

საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო - მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან. მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება. სკოლას სამეურვეო საბჭოს მიერ აქვს დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხოლო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის N 2-42 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *შრომითი ხელშეკრულებები*
2. *სკოლის შინაგანაწესი*
3. 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-33 ბრძანება *სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების შესახებ*
4. *სკოლის სტრუქტურა*
5. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
6. *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
7. *საშტატო განრიგი*
8. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
9. *ხარისხის ჯგუფის დებულება*
10. *სკოლის ვებ-გვერდი:* https://skolebi.emis.ge/schools/1631?schoolName

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტით. თვითშეფასების ფორმის შევსების პერიოდში სკოლას არ ჰქონდა, მაგრამ ვიზიტის დროს წარმოადგინა კანონმდებლობიდან გამომდინარე შემუშავებული და სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N 2-30 აქტით 2023 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მაგალითად კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციათა გადანაწილება და სხვ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე გასაუბრების გზით. ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. სკოლას ბოლო წლებში კონკურსის წესით მიღებული ახალგაზრდა კადრიც ჰყავს, მათ შორისაა ექიმიც. რაც დასტურდება ინტერვიუებით, საკონკურსო კომისიის ოქმებით, ხელშეკრულებებით, პირადი საქმეებით. დასაქმებული პერსონალის პირად საქმეებში ინახება ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ეს ცნობა ყველა დასაქმებულ პირს უდევს პირად საქმეში. ასევე, აქვთ ნარკოლოგიური ცნობები. რაც შეეხება ცნობას, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელსეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, მხოლოდ 2020 წლის 23 ივლისის შემდეგ სკოლაში მიღებულ პერსონალს ჰქონდა. ყველა სხვა დანარჩენ თანამშრომელს ესაჭიროება ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელსეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ცვენი ვიზიტის პერიოდშივე დარეგისტრირდნენ საიტზე ცნობის ასაღებად და ასევე, 2020 წლის 23 ივლილის შემდეგ სკოლაში მიღებულ პერსონალი დარეგისტრირდა

ცნობისთვის: ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ.“ სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N 2-46 აქტით 2023 წლის 18 სექტემბერს დამტკიცებული პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურის დოკუმენტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ პოზიციაზე შერჩეულ პირთა კვალიფიკაციის შესაბამისობას მათ მიერ დაკავებულ პოზიციასთან. დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-33 ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებლის, სპეც.მასწავლებლის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, კლასის დამრიგებლის, დარაჯის, დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, ფუნქციები და კვალიფიკაციები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლაში ახალი კადრის შერჩევის გადაწყვეტილებას იღებს გუნდი (საკონკურსო კომისია), მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს გუნდი (დისციპლინური კომისია) და ა.შ. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესების და კვალიფიკაციის მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, სკოლას სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად ჩართულ მასწავლებლებსა თუ პერსონალს დიპლომებითა და სიგელებით აჯილდოებს, სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე მიღწეული წარმატების თუ განხორციელებული პროექტის გამოქვეყნება ხდება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*
2. *სკოლის შინაგანაწესი*
3. *თანამშრომელთა ხელშეკრულებები*
4. *დანიშვნის ბრძანებები*
5. *ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის და წესის დამტკიცების ბრძანებები და ოქმები*

6. *პერსონალის პირადი საქმეები*
7. *სკოლის პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის მექანიზმი*
8. *მასწავლებლის, სპეც.მასწავლებლის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, კლასის დამრიგებლის, დარაჯის, დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, ფუნქციები და კვალიფიკაციები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N 2-53 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვითაც წესრიგდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობა. პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს მასწავლებეთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 მარტის N 2-30 ბრძანებით

დამტკიცებულია ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკა. დოკუმენტში გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები. ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემაც. აღნიშნული დოკუმენტი თანხვედრაშია ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება და ა. შ. კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე - სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და სემინარებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლას აქვს გათვალისწინებული თანხა გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარებისთვის. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ აძლევს რეკომენდაციას პროფესიული განვითარების მიზნით კონკრეტული მიმართულებების ტრენინგების გავლის შესახებ, რომელსაც ატარებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ ჯგუფის რეკომენდაციას. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის მასწავლებლებს აქვთ იმის უნარი, რომ კარიერული წინსვლა ჰქონდეთ. მიუხედავად ამისა, რატომღაც სკოლაში მხოლოდ ერთი წამყვანი (ინგლისური ენის), დანარჩენი კი - უფროსი მასწავლებელია. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთ მასწავლებლებს სკოლა აჯილდოებს სიგელებით. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს, პროექტებში მათ მონაწილეობას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*
2. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
3. *ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები (მასწავლებლების პირადი საქმეები)*
4. *ხარისხის ჯგუფის დებულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლამ დაგვახვედრა დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის N 2-42 ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცების შესახებ. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ., რაც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული, ასევე, დასტურდება მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ. სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა „საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი," რომელიც სკოლის დირექტორის 2023 წლის 9 ოქტომბერს N 2-61 ბრძანებით იქნა დამტკიცებული. აღნიშნულ დოკუმენტში დაწვრილებით არის გაწერილი მმართველობით და ძირითადი პროცესები და მათი აღმწერები.

სასურველია, ანალოგიურად გაიწეროს სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებიც. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 9 ოქტომბრის N 2-59 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში დაწვრილებით გაწერილია საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპი, საჩივრის/განცხადების წარდგენის წესი და მისი ვადები, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა გასაჩივრების დეტალური პროცედურები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის N 2-44 ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესის განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებია: მრჩეველთა საბჭო, 28 სათვალთვალო ვიდეოკამერა. სკოლაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლაში ყველა მოქმედ კლასში არჩეულია მშობელთა კომიტეტის წევრები. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. უფლებები უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, სკოლასა და პერსონალს შორის. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;*
2. *„საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი;*
3. *წარმოადგინა „საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი;*
4. *სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;*
5. *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი*
6. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
7. *პროექტები მშობელთა ჩართულობით*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. ყველა კლასში ჩამოყალიბებულია მშობელთა კომიტეტები. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. მსობელთა კრებებზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის გაცნობა, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებშიც. სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-35 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მშობლებთან ურთიერთობის დებულება/(კომუნიკაციის სისტემა),“ რაც ვიზიტის განხორციელებისას წარმოადგინა სკოლამ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვის პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მიერ შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სამივე საფეხური. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. *მშობელთა კრების ოქმები;*
2. მშობლებთან ურთიერთობის დებულება/(კომუნიკაციის სისტემა)
3.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას შემუშავებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია როგორც ემოციური, ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. ერთი ექიმი კანონმდებლობის შესაბამისადაა სკოლაში დასაქმებული, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი. თუმცა, ამ ეტაპზე, სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლაში დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-38 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი, რომელიც სკოლამ ვიზიტის განხორციელების პროცესში წარმოგვიდგინა. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. სკოლაში ორივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. ფუნქციონერებს საევაკუაციო გასასვლელები. სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. თუმცა, სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა 2023 წლის 9 ნოემბრის წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი, სადაც ითხოვდა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სკოლას მიეცა რეკომენდაცია

სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ დროში 2024 წლის 9 მარტს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან უკვე შეთანხმებული ჰქონდეს. ასევე, სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. თუმცა, სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 1 სექტემბერს გაგზავნილი წერილი საგანგებო მართვის სამსახურის უფროსთან, სადაც ითხოვდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნეთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად სემოწმებას. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ *სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ დროში 2024 წლის 30 აგვისტოს, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ უკვე ჰქონდეს. ვიზიტისას* ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის დოკუმენტი უახლოეს დღეებში ექნებოდათ, თუმცა, შესაბამისობის გეგმასთან ერთად გადმოგზავნილი იქნა 2023 წლის 25 ოქტომბერს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დამზადებული საინჟინრო ექსპერტიზის N 00746273 დასკვნა, სადაც წერია: ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზაოში მდებარე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული N 1 და N 2 შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმურ ნორმებტან შეუსაბამო. მიუხედავად ამისა, შენობის დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მათი ფუნქციონირება დასაშვებად მიგვაჩნია. შენობების შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა გათვალისწინებული იქნას კვლევით ნაწილში მოცემული რეკომენდაციები.

შენობა N 3 და N 4 შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მათი ფუნქციონირება საფრთხის შემცველი არ არის და ექსპლუატაციისათვის ვარგისია.“

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

2. სკოლას შექმნილი აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში 28 სათვალთვალო ვიდეოკამერაა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. *სკოლას ვურჩევთ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის*

პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას, დაასაქმოს სკოლაში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, რაც ასახულია სკოლაში დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-38 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმში. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. კლასის ხელმძღვანელების მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე - გარე პერიმეტრზე.

მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლის ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. სკოლის ყველა სართულის ყველა დერეფანში განთავსებულია არაერთი სადეზინფექციო ხსნარი ხელის დასამუშავებლად. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. პანდემიის პერიოდში და შემდგომაც მშობელთა მხრიდან არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება ჰიგიენური პირობების დაცვის მაღალ სტანდარტზე. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული 2 დამლაგებელი, სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N 2-39 ბრძანებით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლამ წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი, რომელიც სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 19 სექტემბრის N 2-50 ბრძანებითაა დამტკიცებული. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა მონაცემების შეგროვებას დამუშავებასა და დაცვას ახდენს ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, აღნიშნული გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში, ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2. ექიმის დანიშვნის ბრძანება

3. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ფოტო
4. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
5. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
6. პროექტები
7. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი
8. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობები: გათბობის ქვაბის შენობა და გარე სველი წერტილები, წყლის ავზი, ჭა. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელები სათადარიგო კიბით. სკოლის დაზუსტებული ფართობი 9175 კვ. მეტრია, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითა და შენობა-ნაგებობების სქემით. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანები: ფეხბურთის და ფრენბურთის. სპორტ-დარბაზს აქვს გასახდელები და შხაპები. სკოლას 250 მოსწავლეზე აქვს მოთხოვნა (ერთ ცვლაში). ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 51 მოსწავლე (ერთ ცვლაში). სკოლის ინფრასტრუქტურა გამართულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სკოლა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახლადრეაბილიტირებულია, რაც მოითხოვს სკოლის ნახაზის განახლებასაც. ახალი ნახაზის წარმოდგენის მიზნით ექსპერტთა ვიზიტის პროცესში მოხდა შენობის აზომვა, თუმცა, ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს განახლებული შენობა-ნაგებობის სქემა. სკოლას ვურჩევთ უახლოეს ვადებში განაახლოს სკოლის ნახაზი, შენობა-ნაგებობის სქემა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედნები, სასადილო, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს რეკრიაციული სივრცე, მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც ემსახურება და კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ფიზიკურ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი, თუმცა, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ და შშმ მოსწავლეები. მართალია, სკოლას აქვს სასადილო ფართი, თუმცა სასკოლო კვების ობიექტი - ბუფეტი არ ფუნქციონირებს. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში და მათში განთავსებული ხელსაწყოები თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის ვინც სწავლობს ბუნებისმეტყველებას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას. საგაკვეთილო ცხრილი ისეა შედგენილი, რომ მაქსიმალურადაა თავიდან აცილებული გაკვეთილების დამთხვევა, რათა ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს ჰქონდეს საშუალება გაკვეთილი ლაბორატორიაში ჩაატაროს. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე - დავალებების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ

გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ასევე, ყველასათვის ხელმისაწვდომია სპორტული დარბაზი, სპორტული მოედნები და სპორტული ინვენტარი. ამ შემთხვევაშიც საგაკვეთილო ცხრილის დახმარებით ხდება ისე, რომ მაქსიმალურად არ დაემთხვეს გაკვეთილები, შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის განახლება პერიოდულად ხდება. განახლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასევე, მასწავლებელთა სურვილები სასწავლო რესურსად გამოიყენონ მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რის შესაბამისადაც ხდება სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები. სკოლის შენობას არ აქვს პანდუსები, ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის შენობის შიგნით და ეზოშიც განთავსებულია სველი წერტილები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, სპორტული დარბაზი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომელიც სასკოლო თუ საქალაქო მასშტაბებით იმართება. სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისთვისაა გამოყენებული. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. მოსწავლის უამრავი ნამუშევარია წარმოდგენილი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების არსებობა დასტურდება როგორც დათვალიერებით, ისე - შესყიდვების დოკუმენტაციითა და სასკოლო სასწავლო გეგმით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
2. *ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება*
3. *ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი*
4. *საგნობრივი კურიკულუმი*

5. *კათედრის ოქმები*
6. *ლეპტოპების, პროექტორების, მერხების, დაფების მიღება-ჩაბარების აქტები*
7. *პროექტები*
8. *ფოტომასალა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. მათ გამოყენებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში მოქმედი WI FI -ის სისტემის როლი. სკოლას აქვს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც, ასევე ლაბორატორიებში და ბიბლიოთეკაშია გამოკრულია **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლას საგაკვეთილო ცხრილი შემუშავებული აქვს ისე, რომ ლაბორატორების გამოყენების საშუალება ჰქონდეს ყველა კლასსა და შესაბამის მასწავლებელს. ლაბორატორიებში თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
2. *ფოტოები*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე -მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. .სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ელექტრონული საქმისწარმოებისათვის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება eflow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის, მოსწავლეთა, მშობელთა, პერსონალთა მონაცემები, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა. შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო სკოლის საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. *სკოლის eschool -ის გვერდი*
2. *სკოლის eflow -ს გვერდი*
3. *სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge*
4. *საქმისწარმოების წესი*
5. *სამეურვეო საბჭოს ოქმი*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა

მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ექსპერთთა ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ოქტომბრის N 2-62 ბრძანებით დამტკიცებულ და წარმოდგენილ იქნა სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებს სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გასაჯაროებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. და ღონისძიებები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. პერიოდულად ტარდება მშობელთა კრებები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, სადაც ქართულ ენაზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია სკოლის ვებ-გვერდზეა განთავსებული. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი*
2. *სკოლის ვებ-გვერდი*
3. *საინფორმაციო დაფა*

4. *სკოლის სოციალური გვერდი*
5. *სოციალური ქსელის ჯგუფები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფასა და კომუნალურ გადასახადებს. თუმცა, დარჩენილი თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. მიუხედავად ნაკლები შემოსავლებისა, სკოლა ახარხებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას ფინანსების ეფექტიანი მართვის მიზნით ჩამოყალიბებული აქვს დაგეგმვის, განკარგვის მონიტორინგის სისტემა. ყოველი წლის ნოემბრის თვეში კათედრებიდან და სხვა პასუხისმგებელი პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დირექტორის დავალებით უფლებამოსილი პირი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რაზე დაყრდნობითაც დგება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის

განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. ბუღალტერმა წარმოგვიდგინა საპროგნოზო ბიუჯეტი, სათვალთვალო ვიდეოკამერების შესყიდვების დოკუმენტი, ლეპტოპების მიღება-ჩაბარებები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის ბიუჯეტი*
2. *სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე*
3. *10 დეკემბრის დირექტორის ანგარიში*
4. *შესყიდვების წლიური გეგმა*
5. *ცვლილება შესყიდვების გეგმაში*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი როგორც მოსწავლის წახალისების, ისე - დისციპლინური წარმოების წესი. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური სახდელები შესაბამისობაშია დისციპლინურ გადაცდომებთან ისე, რომ არ ირღვევა მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი, ყველა საკითხი შესაბამისობაშია ზოგადი განათლების კანონთან და ბავშვის უფლებათა კოდექსთან. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის N 2-44 ბრძანებითაა დამტკიცებული. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა, ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინურ კომიტეტს არ განუხილავს არც ერთი მოსწავლის საკითხი, რაც დადებით ტენდენციაზე მიანიშნებს. შიდასასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა და ანგარიშები ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის დაცულია უსაფრთხო გარემო. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. ყოველწლიურად სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოში - სამეურვეო საბჭოში. ასევე, თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილების და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. სასკოლო გეგმაში, ასევე, აღწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცედურები, სსსმ მოსწავლისთვის ინდ. გეგმის შემუშავების რეგულაციები. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს რესუსოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია მოსწავლეთათვის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება. ასევე, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რომელზეც ქვეყნდება შესაბამისი დოკუმენტები და ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს კანონმდებლობის შესაბამის ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ხელშკრულების სავალდებულო პირობებს, სკოლის ვალდებულებებს და უფლებებს, მოსწავლის მშობლის ვალდებულებებს და უფლებებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების უფლებებს, ხელშეკრულების მოქმედების და შეწყვეტის პირობებს, დავის გადაწყვეტისა და დამატებით პირობებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი

2. მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულები

3. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლის საფეხურის დაძლევის, მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს, სკოლის განმარტებით მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და სხვ პროცედურებისთვის ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 19 სექტემბრის N 2-49 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას სკოლა კანონმდებლობით დადგენილი პორცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის

შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ შეესაბამება სკოლის კანონმდებლობას და ასახულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულერებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სკოლის დამრიგებლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მშობლებთან შეხვედრები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ემსახურება მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ, პერსონალურ ან/და კარიერულ ზრდას და განვითარებას. სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებულია სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოსწავლეების აკადემიური მაჩვენებლების ზრდას. ამ მხრივ აღსანიშნავია ეკო და აგრო კლუბები. სკოლას გააჩნია სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ტარდება სხვადასხვა პროექტი თუ შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურადაა ჩართული. სკოლა ჩართულია როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში. სკოლის სპორტულ გუნდებს აქვთ წარმატებები მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში. პროფესიული ორიენტაციის მიზნით სკოლაში მოქმედებს ეკო-კლუბი, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაცია ,,აფადი“ -სთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე სკოლაში დაარსებულია აგრო-კლუბი, რომლის ფარგლებშიც სკოლის ეზოში გაშენდა ხეხილის ბაღი. STEM - პროექტის ფარგლებში ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა დაინერგა სკოლაში. მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ ინტელექტუალურ თამაშში ,,ტვინების ბრძოლა.“ სკოლას მოსწავლეებისათვის აქვს კარიერული დაგეგმვის მხარდამჭერი სისტემა, რაც მოსწავლეებს, საჭიროებისამებრ, ეხმარება სხვადასხვა ორგანიზაციასთან დასაკონტაქტებლად, არაფორმალური აქტივობების განსახორციელებლად. მაგალითად, ხშირად იმართება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე საკმაოდაა ინფორმაცია აქტივობების შესახებ. ხელმისაწვდომია გარკვეული რესურსებიც. განთავსებული ინფორმაცია გამჭვირვალეა, სკოლის ფეისბუქ გვერდზე მოსწავლეთა სურათები მშობელთა თანხმობის საფუძველზეა გამოქვეყნებული და არ შეიცავს რაიმე ფორმის მადისკრიმინირებელ ინფორმაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *პროექტები*
2. *კლუბები*
3. *სოციალური ქსელი*
4. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. ინტერვიუების დროსაც და ინფრასტრუქტურის დათვალიერებისასაც გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ასევე ხელს უწყობენ მობილობით გადმოსულ მოსწავლეს სასკოლო და სასწავლო გარემოში ადაპტირებაში. კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება

დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. შემუშავებული აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში მობილობით შემომატებულ მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა სპორტულ თუ ინტელექტუალურ აქტივობაში, რაც მათ ადაპტაციას აადვილებს. დამრიგებელი ახალ მოსწავლეებს აცნობს ცხრილს, სკოლაში და კონკრეტულ კლასში დამკვიდრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის უწევენ კონსულტაციებს, კერძოდ, მოსწავლეებისთვის ტარდება დამატებითი შეხვედრები და მიეწოდებათ სხვადასხვა რესურსი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მიღწევების გასაუმჯობელებლად, რისთვისაც იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ექსტერნის გამოცდებზე მოსწავლეთა რეგისტრაცია და მათთვის შესაბამისი გამოცდების ორგანიზება, რისთვისაც სკოლაში იქმნება კომისია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით დამატებით სავალდებულო მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, დაწესებულების ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რაც გამოიხატება სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის ღონისძიებებში, საგანმანათლებლო და შემეცნებით ექსკურსიებში და ა.შ. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართა სასკოლო საფეხბურთო ფესტივალი, რომელშიც ჩართულეი იყვნენ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება არაფორმალური აქტივობებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებისას წარმოადგინა მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის შესაბამისი დოკუმენტი. **სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებით (სადამრიგებლო კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა /მშობელთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. დაწესებულებამ წარმოადგინა დამრიგებლის ჟურნალი, ასევე, ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ იგეგმება სხვადასხვა ფორმის კითხვარის შემუშავება და დანერგვა მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთის მიზნით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი.
2. *სკოლის შინაგანაწესი*
3. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი
4. დამრიგებლის ჟურნალი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, რაც გამოიხატება გასვლით გაკვეთილებში, სკოლაში შესაბამისი სტუმრების მოწვევასა და აღნიშნული საკითხების კომპლექსურ დავალებებში ინტეგრაციაში. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების გზას პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშესაწყობად. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და გრძელვადიან მიზნებთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში, ტრადიციულად, მოსწავლეებს მიეწოდებათ აქტუალური ინფორმაცია როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ არსებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე, კლასის დამრიგებლები და პედაგოგები. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით მოსწავლეებს მიეწოდებათ სხვადასხვა პროფესიული დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემა მოსწავლეებისათვის. საჭიროებისამებრ ეხმარება სხვადასხვა ორგანიზაციებთან დასაკონტაქტებლად, არაფორმალური აქტივობების განსახორციელებლად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია გეგმავს ჩაატაროს კვლევა მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების დადგენისათვის და შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმოს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. *სკოლის სოციალური ქსელი*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის და ასევე, მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია

ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში ამჟამად არცერთი სსსმ მოსწავლე არ სწავლობს. სკოლაში ერთი რესურსოთახია სრულად აღჭურვილი. შემუშავებულია რესურსოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილი. სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთან საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას.. სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს სსსმ მოსწალეებთან მუშაობის მექანიზმი და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო სასწავლო გეგმა - კურიკულუმები*
2. *სსსმ მოსწავლეთან საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია*
3. *რესურსოთახი ფოტოები*
4. *ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არა აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის ისეთი მომსახურებები, როგორიცაა: გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვ. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება, ტრანსპორტირების სერვისის გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.
3. ტრანსპორტირებით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რისი მტკიცებულებაცაა ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილე და პასუხისმგებელი პირების - სასკოლო საზოგადოების წევრების (კათედრის წევრების, კათედრის თავმჯდომარისა და სკოლის დირექციის) ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტის მიხედვით კათედრაზე ხდება კურიკულუმის შემუშავება, შეთანხმება თემებზე - იმ საგნებში სადაც არ არის სავალდებულო თემები, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე, მიზნის მისაღწევად გამოყენებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, სტრატეგიებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე. კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადაში დირექციას წარუდგენს კათედრის შეხვედრებზე შეთანხმებულ მასალებს. რომელიც შეთანხმებულ დოკუმენტს წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. დოკუმენტის და კათედრების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავება მოხდა განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ინტერესების დასადგენად გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. დოკუმენტში მოცემულია იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების

ინფორმირება და უკუკავშირის მიღება (სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები) **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2 სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; დოკუმენტში მოცემულია კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მაღალ ჩართულობას. კათედრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები , I –IV და V - VI კლასის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს. ახალი , 2023 – 2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება მოხდა მოსწავლეთა უკუკავშირისა და თვითშეფასების გათვალისწინებით, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, გამოცდილების გაზიარებით, საკუთარი საქმიანობის ანალიზით, და შედეგების გათვალისწინებით დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნებისა, თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4..სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტებიდან, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება გეგმავს გამოკვეთოს რა ფაქტორები უშლიდა თუ უწყობდა ხელს მშობელთა აღნიშნულ პროცესში ჩართულობას და სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მომავალშიც გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას. ამჯერად კი აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემნის მეთოდოლოგია
დაწყებითი საფეხურის, I - IV და V - VI კლასის საგნობრივი კურიკულუმები
კითხვარი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

შემუშავებული კურიკულუმი/ები იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.მაგ.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის“,რათა ამით გაუჩნდეს ინტერესი და აუმაღლდეს მოტივაცია. ასევე,სკოლამ ჩაატარა კვლევა სწავლების ხარისხის ამაღლების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრისა და პრობლემების დაძლევის მიზნით,გამოიკითხნენ მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები. კვლევის შედეგები გაითვალისწინეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები ,რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შედგენილი.მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად,რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და ამისთვის სთავაზობენ პროექტული და კომპლექსური ტიპის დავალებებს, აჩევით

საგნებს, ხელს უწყობენ მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას კლუბური მუშაობის შეთავაზებით ,მაგ. კლუბი „ბუნებისდამცველები“ **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.შემუშავებული კურიკულუმები/ები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის“ .მაგ.,ეს დასტურდება პროექტების:„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“ ,„გაზაფხულის შემობრძანება“,„ვიდრე დედა გყავს...“, რეფლექსიებითა და სკოლის გვერდზე ატვირთული განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტომასალით . სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში,ქოუჩინგი არ გაუვლიათ,მაგრამ მიუხედავად ამისა,კურიკულუმის/ების საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მითითებულია საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი მზად არიან უფრო ინტენსიურად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები,მოსწავლეებზე ორიენტირებული ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები დაწყებით საფეხურზე. **ესთეტიკური აღზრდის** მიმართულებით, ინტერვიუს დროს მიეცათ **რჩევა:** 1)მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების III და IV კლასის კურიკულუმებში, იმ კომპლექსური დავალების ფარგლებში, რომელიც კურიკულუმის მიხედვით ხორციელდება, მიეთითოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითები. 2) I-II-კლასების მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების ველში,მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა, შესაბამისი თემის/საკითხის გვერდები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას სასკოლო- სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური , ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით , ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით და პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს“.ეს ინტერვიუირებისას აღნიშნეს მასწავლებლებმაც და თქვეს,რომ ,მიუხედავად სსსმ მოსწავლეების არყოლისა,მათ აქვთ გამოცდილება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისა და შეუძლიათ ეფექტური ინტერვენციების განხორციელება. მოწოდებული დოკუმენტაციაში იკითხება სკოლის

ვალდებულება შინ სწავლების რეჟიმისა თუ სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის. აღნიშნულის **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4 სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა, ასევე ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ასევე რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. მათემატიკაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები საჭიროებს გარკვეულ შესწორებებს, კერძოთ უნდა დაზუსტდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად ინდიკატორები, გრაფაში სადაც უნდა იყოს დაზუსტებული თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ ჩაწერილია კითხვები კომპლექსური დავალებიდან, რა უნდა წარმოაჩინონ პრეზენტაციაში.მოსწავლებმა. ეს კითხვები ინდიკატორებად უნდა ჩამოყალიბდეს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ ყველა შენიშვნას და მათი გათვალისწინებით შექმნიან ახალ რუბრიკებსაც.

ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, სკოლას წარმოდგენილი აქვს, როგორც მუსიკაში ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით დაწყებით საფეხურზე, რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. მასწავლებლებს ინტერვიუს დროს, მიეცათ **რჩევა:** *საგნებში, მუსიკა, სახვით და გამოყენებით ხელოვნება, მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალების ფარგლებში, რომელიც კურიკულუმის მიხედვით განხორციელდება.* **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5 სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, . პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შემნის მეთოდოლოგია
2.დაწყებითი საფეხურის, I - IV და V - VI კლასის საგნობრივი კურიკულუმები
3.კითხვარი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მოწოდებულია ყველა კლასში,გაწერილია ესგ სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი (საფეხურის შედეგები,ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები). მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობისა ,მაგრამ ჩარჩოებში გაწერეს ორი-ორი ან სამი კომპლექსური და სამომავლოდ,განხორციელების შემდეგ,აუცილებლად შეჰმატებენ ჩარჩოს ახალ დავალებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე, განხორციელებული სასწავლო პროექტების,საკლუბო მუშაობის ,სკოლის ფეისბუკგვერდზ ატვირთული სხვადასხვა აქტივობის ამსახველ მასალებზე დაყრდნობით ,მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით , შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. მათემატიკის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, ამიტომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის ზოგიერთი კლასისთვის უკვე შეარჩიეს კომპლექსურები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით გამოკვეთილია, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან საკითხის შესწავლის პარალელურად შემოქმედებით პროცესში, შექმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. პადაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ყველა კლასისთვის შეარჩევენ კომპლექსურებს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრა ცდილობს მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებაში, მაგალითად ინგლისური ენის კათედრამ განაცხადა, რომ დაწყებით საფეხურზე მათ ჩაატრეს ვიქტორინა, სადაც მოსწავლეებმა გამოავლინეს საკუთარი ცოდნა და უნარები. მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში უფრო აქტიურად არაფორმალური განათლების აქტივობებშიც და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითარონ. დაწყებითი საფეხურის მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას

აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ დავალების განხორციელების პროცესში დაწყებით კლასის მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითშეფასებაში სკოლა აღწერს არაფორმალური განათლების მიმართულებით საინტერესო პრაქტიკას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც. შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. წარმოდგენილი I – IV და V - VI კლასის კურიკულუმის მიხედვით , სკოლაში სწავლა - სწავლების პროცესი წარიმართება კომპლექსური დავალებებით, რაც იძლევა შემოქმედებითი და სხვა მაღალი სააზროვნო უნარების განვითრების საშუალებას. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, კომპლექსური დავალებების მატრიცებისა და შეფასების რუბრიკების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეებისთვის შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შექმნას განსხვავებული პროდუქტები (სხვადასხვა მასალის გამოყენებით მოდელის შექმნა, ალბომი, საინფორმაციო ბარათი, გამაფრთხილებელი ნიშნები, პოსტერები, დაკვირვების დღიური და სხვა) რაც უბიძგებს შემოქმედებითობისკენ, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისკენ. ჩატარებული ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებზე (არა ნარკოტიკს, არა ალკოჰოლს), შემეცნებით ვიზიტებზე (ვიზიტი - მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) და სხვა განხორციელებულ აქტივობებზე (დედის დღე, გაზაფხულის შემობრძანება, დედამიწის დღე). რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესებში. სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია მათზე მორგებული სასწავლო გარემო, რაც გამოიხატება სკოლის ინფრასტრუქტურით. სპორტული დარბაზი და სპორტული აქტივობებისთვის გათვლილი ინვენტარი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ითამაშოს, ივარჯიშოს, ჩაერთოს მის საყვარელ სპორტულ აქტივობებში. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომელიც სპორტული

ფესტივალისა და მოძრავ თამაშების ჩატარებას გულისხმობს, რაც კიდევ მეტად გააქტიურებს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. .მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. რაც იძლევა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას და განაპირობებს მოსწავლის მაღალ ჩართულობას აქტივობებში. მტკიცებულებით წარმოდგენილია შესრულებული კომპლექსური ბუნების დავალების ნიმუში V კლასი კომპლექსური დავალების დასახელება- „ scratch-ში ორი ობიექტის (სპრაიტის) გამოყენებით მინი თამაშის შექმნა“ და VI კლასი “scratch-ის გარემოში შექმენი მათემატიკური ტესტი გამრავლება და გაყოფაზე”, ამასთანაცე მოსწავლის ნამუშევრებიც, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ , რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სახელმწიფო ენაში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმს არ ახლავს დანართი თემატური მატრიცების/გეგმების სახით, თუმცა სკოლის მიერ შეგროვებული მონაცემების (პროექტების ,გაკვეთილის) აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ,კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ნტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაცაა შექმნილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების თემატური მატრიცის ნიმმუში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ. საგნობრივ კურიკულუმში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა,

გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ. წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების I – IV და V - VI კლასის კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები შერჩეულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას ნაცნობი პრობლემის გადაჭრას და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებიდან ჩანს,რომ სასწავლო პროცესი მთლიანად აგებულია კომპლექსურო ბუნების დავალებებზე. წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცაზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კურუკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლქსური ბუნების დავალების იდეის ჩამოყალიბების დროს გათვალიწინებულია მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას .მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა , რომ სხვადასხვა დავალებებზე მუშაობისას ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას და ახალ ცოდნას აგებს ნაბიჯ ნაბიჯ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას , რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები,რომელთა განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების,მაგ.,„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“ ,„გაზაფხულის შემობრძანება“,„ვიდრე დედა გყავს...“ დამადასტურებელი მასალები,ზოგადი განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს. შესწავლილ დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ინტერვიუერებისას დადგინდა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები გააკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე სხვადასხვა შეფასების ზოგად რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის

სწავლაზე. დაწყებითსაფეხურზე უცხოურ ენებში კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებებიც, ისინი მოიაზრებს მეტაკოგნიტურ კითხვებსაც, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, უცხოური ენის წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებასაც, რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს შესძენს უნარებს, იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს, რაც თავის მხრივ მას განუვითარებს თვითრეგულაციის უნარებს. სკოლის მიერ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებიდან გამომდინარე ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად მასწავლებლები აცნობენ და ეხმარებიან მოსწავლეებს სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში. ამ პროცესში იყენებენ გრაფიკული ორგანიზატორებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში; მოვლენებსა და ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვაში. დანაწევრებული მასალის გამთლიანებაში, საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და აღიარებაში, დასასრულს თითოეული მოსწავლე წარადგენს კლასის წინაშე თავის შექმნილ პროდუქტს და საუბრობს თუ რა გზა გაიარა დავალების შესრულებისას. რა იყო ადვილი,რა პრობლემამ იჩინა თავი, რა დაეხმარათ, როგორ მოიქცეოდნენ თავიდან რომ ასრულებდნენ დავალებას. ყოველივე ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სტრატეგიის ტრანსფერს სხვა მასალის დამუშავების დროს. მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით. კათედრის მიერ წარმოდგენილ I-IV და V - VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, კომპლექსური დავალების მატრიცებსა და შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილია კითხვები, რომლებიც მიმართულია მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაზე. რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას კომპლექსური დავალების წარდგენისას გააკეთოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსია, გააანალიზოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩაერთოს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში კომპლექსური დავალების იდეებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიმართულია სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელება მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს, მსჯელობას-დისკუსია. ამასთანავე წარმოდგენილია პროექტი

„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ რომელშიც ნათლად ჩანს რომ აქცენტი კეთდება კეთებით სწავლაზე. აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას , რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს,რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ,ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ,მაგ. პროექტები:„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“ ,„გაზაფხულის შემობრძანება“,„ვიდრე დედა გყავს...“.მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითხის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, “რაში გამომადგება მიღებული ცოდნა”

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები , იძლევა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების საშუალებას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალება, სადაც სამიზნე ცნების გააზრება ხდება ცოდნის სამი კატეგორიის (*დეკლარატიული*, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებისას, (პრექტები)მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში არაა გაწერილი ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები,მაგრამ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განხორციელებული პროექტები:„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“ ,„გაზაფხულის შემობრძანება“,„ვიდრე დედა გყავს...“ , რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში,ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება-ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედავდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;

2. V კლასის კომპლექსური ბუნების დავალება -scratch-ში ორი ობიექტის (სპრაიტის) გამოყენებით მინი თამაშის შექმნა.

3. VI კლასის კომპლექსური ბუნების დავალება-scratch-ის გარემოში შექმენი მათემატიკური ტესტი გამრავლება და გაყოფაზე.

4. მოსწავლეთა ნამუშევრები; პროექტი „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“

5.დაწყებითი საფეხურის, ბუნებისმეტყველების კურიკულუმები, კომპლექსური დავალების მატრიცები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია თემები და მცირე რაოდენობით კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს,სამიზნე ცნებებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ ისინი არ იყვნენ ჩართული ახალი სკოლის მოდელში,არ გაუვლიათ ქოუჩინგი და სწორედ ამის გამო არ გაწერეს სასწავლოპროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. წლევანდელი გამოცდილება დაეხმარება მათ სამომავლოდ სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩოები კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური დავალების პირობის გააზრებით ,საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტის შექმნის პროცესის გასიტყვებით ,რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით კომპლექსურიდან კომპლექსურამდე .

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოებში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნება, მისი მკვიდრი წარმოდგენები (მიზანს), საგნობრივ საკითხები (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით . ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. V – VI კლასის კურიკულუმებს თან

ახლავს კომპლექსური დავალების მატრიცა, დავალების შესრულების ეტაპებით და აქტივობებით, საჭირო რესურსებითა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტში წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნებისა და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. სამიზნე ცნების ფარგლებში შერჩეული თემებიდან გამომდინარე გაწერილია თითოეული თემის ქვეცნებები, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მიცემს გაიაზროს თემის ფარგლებში გათვალისწინებული სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედურ მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომელიც სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებითაა შერჩეული და მოძრავ თამაშებსა და სპორტულ ფესტივალში მოსწავლეთა ჩართულობას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. ყველაფერი ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ. რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. თუმცა უნდა ავღნიშნო, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, კერძოდ მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმებში თემა მავნე ჩვევებში დასაზუსტებელია საკითხთა კლასტერი. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში , სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება . სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები და ქვეცნებები. შუალედური მიზნები განისაზღვრება კომპლექსური ბუნების დავალების სახით, რომელსაც მივყავართ გრძელვადიან მიზნებამდე, აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას და საგნობრივ საკითხებს შორის. მოსწავლის მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალებაში ხაზგასმით წარმოსადგენ კრიტერიუმებს მატრიცაში მითითებული აქვს თუ რომელი სამიზნე ცნების კერძოდ რომელ მკვიდრ წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში.. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს,რომ სკოლაში ფუნქციონირებს „ეკოკლუბი“. მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, მაგ.„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“ ,„გაზაფხულის შემობრძანება“,„ვიდრე დედა გყავს...“, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების

პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა,რომ სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ეს რუბრიკები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას.რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით. ასევე წარმოდგენილი მათემატიკის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითო ნიმუში ზოგადია, საჭიროებს თემის ფარგლებში დაკონკრეტებას. .მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მოსწვალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის, ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა როგორც გამავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც აქტენტი კეთედება სამიზნე ცნებებზე. მასწავლებელმა გასაუბრების დროს აღნიშნა რომ, სასწავლო პროცესში იყენებს როგორც განმავითარებელ , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას შესაბამის საგნობრივ საკითხთან მიმართებით. ასევე მასწავლებელი გეგმავს შეიმუშაოს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიც,

კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებების შესაბამისად. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა სადიაგნოსტიკო შეფასების ინფტუმენტი „საკლასო წერის“ ინსტრუმენტი რომლის გამოყენებას გეგმასვს წელიწადში 2 ჯერ . ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს,მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. კათედრა მზადაა,რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე - დავალებების ანალიზზე, თვითშეფასებაზე დაყრდნობით ,შეიძლება ითქვას, რომ დაწყებით საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის ცალკეული ელემენტები გვხვდება. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მასწავლებლები აანალიზებენ რა ფაქტორები განსაზღვრავდა წარმატებას , რა იყო წარუმატებლობის მიზეზი და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი,რომელშიც გათვალისწინებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპი, პროცესის აღწერა და შედეგების ანალიზი. სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც გაწერილია დეტალურად როგორ უნდა აწარმოოს სკოლამ აღნიშნული პროცესი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე მუდმივად აწარმოებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმსა და შეფასების რუბრიკებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების მათი შენახვის წესი ონლაინ ფორმატში;
შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
2. პროექტი „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით ; ვერფიკაციის მექანიზმი; სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი.
4. ვერიფიკაციის მექანიზმი
5. დაწყებითი საფეხურის, ბუნებისმეტყველების კურიკულუმები
6. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრის წევრებთან ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ სკოლაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები , არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც . ამას ადასტურებს სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული.სკოლაში არის მხარდამჭერი ჯგუფი.მასწავლებლებს აქვთ ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ., სასკოლო - სასწავლო გეგმაში, უწერია, რომ სკოლის მისიაა ხარისხიანი განათლებით მაღალი ღირებულებების მქონე ახალგაზრდების აღზრდა.ასევე, წარმოდგენილი აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს . მასწავლებლის თვითშეფასების ფორმაც წარმოაჩენს ამ პროცესს. გარდა

ამისა,ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო,ამას მაფიქრებინებს სკოლაში გამართული აქტივობები,საკლუბო მუშაობა და ღონისძიებები.

ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშორმლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულუნ განვითარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრის წევრები რომ მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრის ოქმებში.კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს ,ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს მხარდამჭერი ჯგუფი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინტერვიუდან ვადგენთ, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე , პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით , მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებით , შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით , რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ასევე,პოზიტიური კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტებისა თუ საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი მასალები.ვფიქრობ,იქ,სადაც , ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;

2.პროექტი - „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა

3. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

4. მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი;

5. დაწყებითი საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები
6. გახორციელებული პროექტები , აგრო კლუბის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება ეტაპობრივად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1.მოსწავლეთა მხარდაჭერა
2.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
5.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მოსწავლეებისათვის
6. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მშობლებისათვის;
7. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-წახალისების ფორმები;
8.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;
9. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისიხის ჯგუფის დებულება;
10. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. 2023-2024 საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ.წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. სადაც ჩანს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომელიც ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება, როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა ისეთ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა: მასწავლებლის დაკვირვება, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზ, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირი.საგნობრივ კურიკულუმებში და სხვადასხვა ტიპის პროექტებში. ჩანს, რომ შეფასების სისტემის ჰოლისტურობა პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან. მასწავლებლებს აქვთ მზაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება,რომლიც საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თემების შინაარსს, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს.კათედრის წევრები საუბრობდნენ როგორც ფორმალური,ასევე არაფორმალური განათლების

კუთხით მათ გამოცდილებაზე,რაც იმაზე მეტყველებს,რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.სრული სურათის მისაღებად მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; აღნიშნულიდან გამომდინარე, **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა აღნიშნავს, რომ წინა წლებში შეფასებისას არ გამოუყენებიათ მონაცემთა შეგროვების რაიმე კონკრეტული მეთოდი, თუმცა 2023-2024 სასწავლი წელში სკოლაში მასწავლებელთა ანალიზის საფუძველზე მონაცემთა შეგროვებისთვის განხორციელდება ანკეტირების მეთოდი, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სპეციალური კითხვარის დარიგებას, რაც შესაძლებლობას მიცემთ გამოავლინონ საუთარი დამოკიდებულება და საჭიროება. მასწავლებლებთან შეხვედრისას აღნიშნეს, სკოლაში შფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ანკეტირება, ინტერვიუ, გამოკითხვა, ხოლო ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის საფუძველზე მოხდება სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის მიერ მონაცემთა შეგროვებისათვის ასევე გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ მოწოდებულმა დოკუმენტაციამ, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება ყველა ის გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის უნარებზე, იქნება ეს ოჯახური თუ ეკონომიური მდგომარეობა, სოციალური წრე, დრო, სივრცე. მნიშვნელოვანია ასევე მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სადაც დადგინდება მოსწავლის ფსიქო სოციალური მდგომარეობა, ინდივიდუალური საჭიროება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობა, რომელთა დიაგნოსტირებისას მოხდება მოსწავლეთა უნარების გამოვლენა, რომლის შესაბამისად სკოლა შემუშავებს შეფასების რუბრიკებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

2.2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი

3.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
4.სასკოლო სასწავლო გეგმა
5.კითხვარი მოსწავლეებისათვის, კითხვარი მშობლებისათვის;
6. წახალისების ფორმები;
7. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;
8. ხარისიხის ჯგუფის დებულება;
9. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა. გაანალიზებენ, რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას, რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას. იგეგმება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხრდამჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ განსაზღვრულია ის პრინციპები (მუხლი 1.2, გვ. 2), რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. ამავე დოკუმენტში (1.3.1) ვკითხულობთ: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება... “, ჩანს სკოლის ხედვა, როგორ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მათი შეხედულებების გაზიარება. პროცესში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება კათედრების მუშაობას. ,,2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში“ მდგომარეობის კრიტიკული ანალიზის მიმართულებით (გვ. 10) ვკითხულობთ: ,, კვლევისათვის კათედრამ უნდა გამოიყენოს: ჟურნალები, თემატური გეგმები, ტესტები, შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების შედეგები, ინტერვიუები, გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერები და სხვა.“ ამავე დოკუმენტში (გვ.11) მოცემულია მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისათვის განსახორციელებელი აქტივობები, კერძოდ: ,, საგნის/საგნების სწავლების ორგანიზება და მათი სასწავლო კურიკულუმები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ესგ-ს საფუძველზე სასწავლო პროგრამების, მეთოდური მითითებების შემუშავება და აპრობაცია; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და განხორციელება; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების რეგულარული განხილვა; მოდელის, ,,კრიტიკული მეგობრის“, დანერგვა გაკვეთილებზე მასწავლებელთა

ურთიერთდასწრების შედეგად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი კონტროლი“, რომელთა წარმატებით დანერგვაც უზრუნველყოფს კურიკულუმის გადასინჯვას და განახლებას. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით. მათ აღნიშნეს, რომ მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. მოხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, შედარება, რომელმა რესურსმა ან მეთოდმა უზრუნველყო საფეხურის დონეზე პროგრესი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნის მიღწევა. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, შეფასების შედეგად დანახულ მიგნებებს ასახავს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ისე საფეხურის დონეზე. ასევე გაითვალისწინებენ პრობლემებს, რომლებიც კურიკულუმის დანერგვის პროცესში წარმოიშვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

✓ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები;

✓ შეფასების რუბრიკები;

✓ მასწავლებელთა ინტერვიუ;

✓შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილე და პასუხისმგებელი პირების - სასკოლო საზოგადოების წევრების (კათედრის წევრების, კათედრის თავმჯდომარისა და სკოლის დირექციის) ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტის მიხედვით კათედრაზე ხდება კურიკულუმის შემუშავება, შეთანხმება თემებზე - იმ საგნებში სადაც არ არის სავალდებულო თემები, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე, მიზნის მისაღწევად გამოყენებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, სტრატეგიებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე. კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადაში დირექციას წარუდგენს კათედრის შეხვედრებზე შეთანხმებულ მასალებს. რომელიც შეთანხმებულ დოკუმენტს წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. დოკუმენტის და კათედრების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავება მოხდა განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ინტერესების დასადგენად გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. დოკუმენტში მოცემულია იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება (სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები) . **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; დოკუმენტში მოცემულია კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მაღალ ჩართულობას. კათედრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კათედრის წევრები , VIII - IX კლასის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს. ახალი , 2023 – 2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება მოხდა მოსწავლეთა უკუკავშირისა და თვითშეფასების გათვალისწინებით, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, გამოცდილების გაზიარებით, საკუთარი საქმიანობის ანალიზით, და შედეგების გათვალისწინებით დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნებისა, თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4..სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტებიდან, ასევევ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება გეგმავს გამოკვეთოს რა ფაქტორები უშლიდა თუ უწყობდა ხელს მშობელთა აღნიშნულ პროცესში ჩართულობას და სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მომავალშიც გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას. ამჯერად კი აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. . **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შემნის მეთოდოლოგია
2.საშუალო საფეხურის, X - XI კლასის საგნობრივი კურიკულუმები
3.კითხვარი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია, რომ საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია ,,„შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად).;მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.“

ამ ამოცანებისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული კურიკულუმებით წარიმართება სკოლაში სასწავლო პროცესები. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის მაჩვენებელია ის კვლევა,რომელიც ჩაატარა სკოლამ სწავლების ხარისხის ამაღლების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრისა და პრობლემების დაძლევის მიზნით,გამოიკითხნენ მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები. კვლევის შედეგები გაითვალისწინეს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები ,რესურსები, მოსწავლეთა ასაკის,ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შედგენილი.მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად,რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და ამისთვის სთავაზობენ პროექტული და კომპლექსური ტიპის დავალებებს, აჩევით საგნებს. ხელს უწყობენ მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას კლუბური მუშაობის შეთავაზებით,მაგ., აქტიურია კლუბები „ბუნებისდამცველები“,„ერთობა“,„ნერგები“. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის“ .მაგ.,ეს დასტურდება პროექტების:

„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“ , „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ რეფლექსიებითა და სკოლის გვერდზე ატვირთული განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტომასალით . სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში,ქოუჩინგი არ გაუვლიათ,მაგრამ მიუხედავად ამისა,კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მითითებულია საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად,რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და მზად არიან უფრო ინტენსიურად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები,მოსწავლეებზე ორიენტირებული ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები საშუალო საფეხურზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არ ჰყავთ სსსმ საჭიროების მოსწავლეები,თუმცა სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია საჭიროების შემთხვევაში მოქმედების მექანიზმი.მაგ.სასკოლო- სასწავლო გეგმაში წერია,რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური , ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით , ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით და პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს“.ასევე იკითხება სკოლის ვალდებულება შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნისა შინ სწავლების რეჟიმის დროს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს,რომ მათ აქვთ დიფერენცირების გამოცდილება,შეუძლიათ ,საჭიროებისამებრ პრობლემის ტიპის დროული განსაზღვრა და მის დაძლევაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციების განხორციელება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა, ასევე ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ასევე რამდენად ახერხებს

მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. მათემატიკაში წარმოდგენილია მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების ნიმუში, რომელიც საჭიროებს გარკვეულ შესწორებებს, კერძოთ უნდა დაზუსტდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად ინდიკატორები, რომელშიც ნათლად უნდა ჩანდეს მოსწავლის შედეგები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ ყველა შენიშვნას და მათი გათვალისწინებით შექმნიან ახალ რუბრიკებსაც. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, . პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.*კურიკულუმის მეთოდოლოგია;*

2.სასკოლო-სასწავლო გეგმა; საგნობრივი კურიკულუმები;

3.შეფასების რუბრიკები;

4.მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია თემები და მცირე რაოდენობით კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს,სამიზნე ცნებებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ ისინი არ იყვნენ ჩართული ახალი სკოლის მოდელში,არ გაუვლიათ ქოუჩინგი და სწორედ ამის გამო არ გაწერეს სასწავლო პროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. წლევანდელი გამოცდილება დაეხმარება მათ სამომავლოდ სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩოები კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური დავალების პირობის გააზრებით ,საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტის შექმნის პროცესის გასიტყვებით ,რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, განხორციელებული სასწავლო პროექტების-„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის,“ ,„დაასუფთავე გარემო“ , „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა,“ კლუბების მუშაობის და სოციალურ სივრცეში სკოლის გვერდზე სხვადასხვა აქტივობის ამსახველ მასალებზე დაყრდნობით ,მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით ,შეიძლება ითქვას,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც. საგნებში მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის

იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმს სახელმწიფო ენაში არ ახლავს დანართი თემატური მატრიცების/გეგმების სახით, თუმცა სკოლის მიერ შეგროვებული მონაცემების (შემაჯამებელი დავალებების ,გაკვეთილების) აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ, კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ნტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაცაა შექმნილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების თემატური მატრიცის ნიმმუში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ.

–სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე, რაც კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში. კერძოდ: სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით,სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, წარმოდგენილია პროექტი, რომლის თემაა: „კულტულური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები შერჩეულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ხელს უწყობს ცოდნის

კონსტრუირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას ნაცნობი პრობლემის გადაჭრას და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას.

კურიკულუმებში თემები და მის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები ისეა გაწერილი, რომ მოსწავლემ შეძლოს ახალი ცოდნა წინა ცოდნაზე დაყრდნობით შეიძინოს. სწავლა სწავლების პროცესი წარიმართება მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ და მთლიანად სასწავლო პროცესი კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებით წარიმართება. კურიკულუმები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით იძლევა შესაძლებლობას მოსწავლისთვის შეთავაზებული იყოს უკვე ნასწავლი აქტივობება. მასწავლებლებმა ისაუბრეს განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებაზე ,,შიდა სასკოლო ფესტივალი“ მძლეოსნობაში, რომელიც შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს, რომლის ფარგლებში ეტაპების მიხედვით განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები მარტივი, უკვე ნასწავლი აქტივობებიდან, შედარებით რთული და ახალ აქტივობებამდე. რაც თავის მხრივ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას შესაბამისად**. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები,რომელთა განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების,მაგ.,,„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ დამადასტურებელი მასალები,ზოგადი განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს.

შესწავლილ დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ინტერვიუერებისას დადგინდა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები გააკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე სხვადასხვა შეფასების ზოგად რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი სტრატეგიებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის შესწავლასა და თვითრეგულირებაში. კომპლექსური დავალებებით საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად , ახორციელებენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის კონსტრუირებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში . მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით. კათედრის მიერ საბაზლო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებსა და შეფასების რუბრიკებში არ ჩანს კითხვები, რომლებიც მიმართულია მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენ. კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე. კლასები მცირერიცხოვანია და მასწავლებლები მოსწავლეებთან იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, რის საფუძველზეც სთავაზობენ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიებს.

სპორტის კათედრის მიერ მოწოდებული კურიკულუმები, მასში გაწერილი აქტივობებით მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას განაპირობებს. საბაზლო საფეხურზე მასწავლებელის მიერ გამოყენებული მამოტივირებელი კომენტარები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე, გააცნობიეროს და შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, განსაზღვროს წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი. კომპლექსური დავალებების ფარგლებში განხორციელებულ შიდა საკლასო თუ სასკოლო სპორტულ ფესტივალში მონაწილეობისას მოსწავლეს საშუალება მიეცემა განსაზღვროს რომელი ფიზიკურ თვისების მეტად განვითარება ესაჭიროება, რომელი ვარჯიშები თუ ფიზიკური აქტივობები მეტად დაეხმარა წარმატების მიღწევაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას საბაზლო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება,სასწავლო გეგმაში უწერია კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლება და დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, გარდა ამისა, სკოლაში საბაზო საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს,მაგ.,„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ , რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ,ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე , მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითხის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ

მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა". სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომლებიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები , ხელნაკეთი ნივთები) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში არაა გაწერილი ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები, მაგრამ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში არის განხორციელებული ინტეგრირებული პროექტები ,მაგ.,„მწიგნობარი", „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა", „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის",,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა" , რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას.

მათემატიკაში კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედავდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების გაკვეთილისთვის გაწერილი პროექტის გეგმა,რომელიც ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან პროექტების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და

კონსტრუირების გარეშე. კათედრა მრავალფეროვანი თემატიკით ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, რაც კარგად ჩანს ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლაში ვიზიტის დროს გადაიღებულ სურათებში. სადაც კარგად ჩანს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე მოსწავლის მიერ შექმნილი მრავალფეროვანი პროდუქტები. ყოველი განსაზღვრული თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, იგი ასევე უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის წინარე ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან, რომელიც მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებაზე და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში.

საბაზაო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წარმოდგენილი კურიკულუმიდან და ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნიათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შერჩეული თემები, კომპლექსური დავალებები , კათედრაზე განხორციელებული პროექტები იძლევა საშუალებას მოხდეს საგნების ურთიერთდაკავშირებულად სწავლება. (მაგ: ინტეგრირებული გაკვეთილები და STEM პროექტები და სხვა).

სპორტსი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი კურიკულუმები, რომლის შუალედურ მიზანს კომპლექსური დავალებებით სწავლება წარმოადგენს ორიენტირება საკითხების სიღრმისეულ სწავლებაზე, ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერთდაკავშირებაზე კეთდება აქცენტი კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაში თუ პროექტის მომზადება მოსწავლისგან უკვე ნასწავლი საკითხების წარმოჩენას, ცოდნათა ორგანიზებას მოითხოვს, ხოლო პროექტული სწავლების დროს სწორი ჯანსაღი კვების, მავნე ჩვევების ფარგლებში მოსწავლეები შეძლებენ საგანთა შორის კავშირების დამყარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

3. .სამოქალაქო განათლების კლუბი-დებულება,სამოქმედო გეგმა,პროექტების ანგარიშები.
4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
5.სასკოლო სასწავლო გეგმა
6.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მოწოდებულია ყველა კლასში,გაწერილია ესგ სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი (საფეხურის შედეგები,ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები). მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობისა ,მაგრამ ჩარჩოებში გაწერეს ორი-ორი ან სამი კომპლექსური და სამომავლოდ,განხორციელების შემდეგ,აუცილებლად შეჰმატებენ ჩარჩოს ახალ დავალებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე, განხორციელებული სასწავლო პროექტების-,,მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,,,დაასუფთავე გარემო“,,,ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ , საკლუბო მუშაობის-კლუბი „ერთობა“,,ნერგები“,,,ეკოკლუბი“,სკოლის ფეისბუკგვერდზე ატვირთული სხვადასხვა აქტივობის ამსახველ მასალებზე დაყრდნობით ,მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით ,შეიძლება ითქვას,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა.

მათემატიკის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ამ ეტაპზე არ არის ასახული კომპლექსური დავალებები. თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია კომპლექსურების შერჩევა, რომლებზე დაფუძნებული სწავლება

უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ასევე აღნიშნეს,რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, ამიტომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის ზოგიერთი კლასისთვის უკვე შეარჩიეს კომპლექსურები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით გამოკვეთილია, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან საკითხის შესწავლის პარალელურად შემოქმედებით პროცესში, შექმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ყველა კლასისთვის შეარჩევენ კომპლექსურებს.

–უცხოურ ენებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ხდება როგორც ძირითადი თემის ფარგლებში, ასევე შუალედური მიზნების/კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით, სადაც თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ თითოეული თემის ფარგლებში უნდა იქნეს ისეთი აქტივობები შერჩეული, რომლებიც ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას შეუწყობს ხელს და მოსწავლე კომპლექსურად გამოიყენებს და გაიაზრებს შესასაწავლ საკითხს. სკოლის წარმოდგენილი პროექტის გეგმა,რომელიც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლებისთვისაა განკუთვნილი, ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. გეგმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში დაიფარება: საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემით. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე დაეხმარება სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის, პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება მასწავლებლებთან გასაუბრებიდან. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ გაწერენ საბაზლო საფეხურის კურიკულუმს,სადაც შეიტანენ მოსწავლეების მიერ არჩეული თემის შესაბამის პროექტებს. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა საბაზო საფეხურზე მასწავლებელბი სთავაზობენ პროექტების განხორციელების დროს შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტები.

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი საზოგადოებრივ მეცნიერებებში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. სპორტში წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნებისა და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. სამიზნე ცნების ფარგლებში შერჩეული თემებიდან გამომდინარე გაწერილია თითოეული თემის ქვეცნებები, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მიცემს გაიაზროს თემის ფარგლებში გათვალისწინებული სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედურ მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომელიც სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებითაა შერჩეული და მოძრავ თამაშებსა და სპორტულ ფესტივალში მოსწავლეთა ჩართულობას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. ყველაფერი ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ. რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს ,რომ სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი კლუბი-„ნერგები“ , „ერთობა“„ეკოკლუბი“. მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში მაგ.,„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ ,აქტივობებში-დადიან სასწავლო-შემეცნებით ვიზიტებზე,ესწრებიან სპექტაკლებს,რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. ინტრევიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების შესახებ და გამოკვეთეს თუ რამდენ მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. ისაუბრეს თავიანთ წილ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესში, თუ სწორად და დიფერენცირებულად შევარჩევთ დავალებებს, მოსწავლის შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით.

ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დავალებების შესრულებით მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დაეხმარონ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გუნდური მუშაობის უნარ- ჩვევები კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობებს ამყარებს და ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. შესაბამისად მოსწავლე სწავლობს სტრესული და

კონფლიქტური სიტუაციების მართვას, სხვების აზრის პატივისცემას, ეს ეტაპები ნმნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლის თვითშეფასებას, თვითგამოხატვას და სოციალურ ქცევას. აქ განსაკუთრებული როლი აქვს არაფორმალური განათლებას და პროექტულ სწავლებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება;

საზოგადოებრივ მეცნიერებებში საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; აქტივობების და მეთოდის საშუალებით ხელშეწყობა ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარების მრავალფეროვანი აქტივობების (პროექტები, დისკუსია, ინტერვიუ, პოდკასტი, რეპორტაჟი, პოსტერი, პოსტქარდი, კლასის საათი, საჯარო გამოსვლა) სახით. სკოლაში ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას.

სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, მეწარმეობისა და იდეების , სპორტული კლუბები. კლუბები ახორციელებენ სოციალურ პროექტებს , ტარდება ღონისძიებები მდგრადი განვითარების მიზნით.

კურიკულუმების ცხრილში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გაანალიზებისა და ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული საკითხები მოსწავლეებისთვის არ არის რთულად აღსაქმელი, თითოეული დაკავშრებულია ნაცნობ კონტექსტთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებსა და სხვა არაფორმალური აქტივობებზე მუშაობის პორცესში ხელს უწყობენ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, იმუშაონ გუნდურად, ამოიცნონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები და გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

სპორტში კურიკულუმებში შერჩეული თემები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სპორტული აქტივობები, ჩატარებული საკლასო/სასკოლო ღონისძიებები მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური უნარების განვითარებას განაპირობებს. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ ეს უნარები განსაკუთრებით გუნდური თამაშების დროს ვლინდება. მოსწავლეები ეჩვევიან მოგება/წაგებას,

ემოციების მართვას, ერთმანეთზე დახმარებასა და ზრუნვას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. კურიკულუმებში სამიზნე ცნება ,, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი", რომელიც თითქმის ყველა თემაში მუშავდება მოსწავლეებისგან მოითხოვს ემოციების მართვას, გუნდურობას, თანამშრომლობას. რომლის გათვალისწინება მოსწავლეს უწევს არამარტო სასწავლო პროცესის, არამედ კომპლექსური დავალების ფარგლებში განხორციელებულ ფესტივალსა და მოძრავ თამაშებში მონაწილეობისას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლამ შეარჩია შეფასების პირველი მოდელი .სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ , რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებს ,კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ეს რუბრიკები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას.რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით. ასევე წარმოდგენილი მათემატიკის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითო ნიმუში ზოგადია, საჭიროებს თემის ფარგლებში დაკონკრეტებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, ხოლო პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. ესთეტიკის კათედრის საბაზო საფეხურზე,პროექტული სწავლების დროს, მოსწავლეების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების სქემებით. ორიენტირად მოიაზრება შეფასების ინდიკატორები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ისინი განსაზღვრულია თითოეულ სარეკომენდაციო

თემასთვის და დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ, კათდრას აქვს შეფასების სისტემების აქტიურ პრაქტიკა,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.

ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას.

საზ.მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას.

კათედრის მიერ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტულად ერთი თემიდან ,,მძლეოსნობიდან“ გამომდინარე, რომელიც მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზეა ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასება რუბრიკიდან გამომდინარე ხდება თითოეული სამიზნე ცნებიდან გამომდინარე. მაგალითად სამიზნე ცნება ,,ფიზიკური თვისებების“ ფარგლებში მოსწავლემ ფიზიკური თვისებების განვითარება უნდა შეძლოს ფიტნეს აქტივობებში ჩართულობით, სამიზნე ცნება ,,ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ფარგლებში ფასდება გუნდურობა, ემოციების მართვა, თანამშრომლობა, დისციპლინის, უსაფრთხოების წესების დაცვა. ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს მოსწავლეთა ცოდნის დონე კონკრეტული სამიზნე ცნების ფარგლებში. მაგალითად ხტომის ელემენტების შესწავლისას მოსწავლის შეფასება მოხდება მასწავლებლის მითითებით მოძრაობის დაწყება; გამორბენისას არეკნი ნიშნულიდან; დახტომი სრულდება ჩაჯდომით, მუხლებში მოხრით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი თიპის რუბრიკები იქნება შემუშავებული თემებიდან გამომდინარე. გამომდინარე აქედან გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა მთლიანად ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები . ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. სახელმწიფო ენის კათედრა მზადაა, რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. სკოლის სასწავლო გეგმაში აღწერილია თუ როგორ და

რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით). მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით კონკრეტული თემების შესაბამისი და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი) სკოლას აქვს სწორი ხედვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელი იყენებს შეფასების რუბრიკებს. ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს მოსწავლეთა შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე და ობიექტური. ეს მეთოდი მოსწავლეებს წინასწარ ამზადებს და დადებითად მოქმედებს მათ ემოციურ განწყობაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესშივე აძლევს ზეპირ განმავითარებელ შეფასებებს და ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე ,მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგებზე, თვითშეფასებაზე დაყრდნობით ,შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის ცალკეული ელემენტები გვხვდება. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მასწავლებლები აანალიზებენ რა ფაქტორები განსაზღვრავდა წარმატებას , რა იყო წარუმატებლობის მიზეზი და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლას წარმოდგენილი აქვს აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი,რომელშიც გათვალისწინებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპი, პროცესის აღწერა და შედეგების ანალიზი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების მათი შენახვის წესი ონლაინ ფორმატში;

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. ყოველწლიური ნამუშევრები ინახება ერთი წლის ვადით, სკოლაში არის ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნების წიგნი, რომელშიც 2009 წლიდან აღირიცხება სემესტრული და წლიური შეფასებები, ასევე დაარქივებულია მატერიალური ჟურნალები 25 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები და მტკიცებულებები ინახება მოსწავლის პირად საქმეში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
2.ვერიფიკაციის მექანიზმი
3.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრის წევრებთან ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ სკოლაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები , არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც . მასწავლებლებმა,დაადასტურეს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ფაქტები,რომ მხარდამჭერი ჯგუფის მიერ პერიოდულად ხორციელდება მასწავლებელთა განვითარებისა თუ კონკრეტულ საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობები,რაც ხელს უწყობს თანამოაზრეთა გუნდისა და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას.

სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის,წარმოაჩენს სასწავლო პროცესში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. სკოლაში ტარდება

სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ,.სასკოლო - სასწავლო გეგმაში, უწერია, რომ სკოლის მისიაა ხარისხიანი განათლებით მაღალი ღირებულებების მქონე ახალგაზრდების აღზრდა.ასევე, წარმოდგენილი აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს .მასწავლებლის რეფლექსიის ფორმაც წარმოაჩენს ამ პროცესს. გარდა ამისა,ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო,ამას მაფიქრებინებს სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების „მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,სოციალურ სივრცეში სკოლის გვერდზე ატვირთული მასალები ,საკლუბო მუშაობა- კლუბები „ნერგები“,„ეკოკლუბი“,„ერთობა“. ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლეებში მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას და მათს სამომავლო წარმატებულ ინტეგრაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის წევრები რომ მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრის ოქმებში.კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს ,ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს მხარდამჭერი ჯგუფი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინტერვიუდან ვადგენთ, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებით, შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით ,რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ასევე,პოზიტიური

კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კონფერენციის, ოლიმპიადების, პროექტებისა თუ საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი მასალები. ვფიქრობ,იქ,სადაც ,ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მოსწავლეთა მხარდაჭერა
2.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
5.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მოსწავლეებისათვის
6. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მშობლებისათვის;
7. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-წახალისების ფორმები;
8.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;
9. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის ჯგუფის დებულება;
10. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად.

სკოლაში ხდება მონიტორინგი, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, შეფასება წარმოადგენს, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.მოსწავლეთა მხარდაჭერა
2.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
5.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მოსწავლეებისათვის
6. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მშობლებისათვის;
7. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-წახალისების ფორმები;
8.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;
9. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის ჯგუფის დებულება;
10. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. 2023-2024 საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ.წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. სადაც ჩანს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომელიც ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება, როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა ისეთ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა: მასწავლებლის დაკვირვება, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზ, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირი.საგნობრივ კურიკულუმებში და სხვადასხვა ტიპის პროექტებში. ჩანს, რომ შეფასების სისტემის ჰოლისტურობა პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან. მასწავლებლებს აქვთ მზაობა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება,რომლიც საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თემების შინაარსს,

მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. კათედრის წევრები საუბრობდნენ როგორც ფორმალური ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ წინა წლებში შეფასებისას არ გამოუყენებიათ მონაცემთა შეგროვების რაიმე კონკრეტული მეთოდი, თუმცა 2023-2024 სასწავლი წელში სკოლაში მასწავლებელთა ანალიზის საფუძველზე მონაცემთა შეგროვებისთვის განხორციელდება ანკეტირების მეთოდი, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სპეციალური კითხვარის დარიგებას, რაც შესაძლებლობას მიცემთ გამოავლინონ საუთარი დამოკიდებულება და საჭიროება. მასწავლებლებთან შეხვედრისას აღნიშნეს, სკოლაში შფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ანკეტირება, ინტერვიუ, გამოკითხვა, ხოლო ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის საფუძველზე მოხდება სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის მიერ მონაცემთა შეგროვებისათვის ასევე გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ მოწოდებულმა დოკუმენტაციამ, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება ყველა ის გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის უნარებზე, იქნება ეს ოჯახური თუ ეკონომიური მდგომარეობა, სოციალური წრე, დრო, სივრცე. მნიშვნელოვანია ასევე მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სადაც დადგინდება მოსწავლის ფსიქო სოციალური მდგომარეობა, ინდივიდუალური საჭიროება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობა, რომელთა დიაგნოსტირებისას მოხდება მოსწავლეთა უნარების გამოვლენა, რომლის შესაბამისად მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო -სასწავლო გეგმა

2.საგნობრივი კურიკულუმები

3.სკოლის თვითშეფასების ფორმა

4.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის სამომავლოდ განვითარებისათვის სკოლა ამ ეტაპზეც ახდენს და სამომავლოდ უფრო მეტი კოორდინირებით და მულტიფატქორული მიდგომებით გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შედეგების გაანალიზებას, გაკვეთილების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ განსაზღვრულია ის პრინციპები (მუხლი 1.2, გვ. 2), რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. ამავე დოკუმენტში (1.3.1) ვკითხულობთ: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება... “, ჩანს სკოლის ხედვა, როგორ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მათი შეხედულებების გაზიარება. პროცესში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება კათედრების მუშაობას. ,,2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში“ მდგომარეობის კრიტიკული ანალიზის მიმართულებით (გვ. 10) ვკითხულობთ: ,, კვლევისათვის კათედრამ უნდა გამოიყენოს: ჟურნალები, თემატური გეგმები, ტესტები, შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების შედეგები, ინტერვიუები, გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერები და სხვა.“ ამავე დოკუმენტში (გვ.11) მოცემულია მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისათვის განსახორციელებელი აქტივობები, კერძოდ: ,, საგნის/საგნების სწავლების ორგანიზება და მათი სასწავლო კურიკულუმები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ესგ-ს საფუძველზე სასწავლო პროგრამების, მეთოდური მითითებების შემუშავება და აპრობაცია; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და განხორციელება; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების რეგულარული განხილვა; მოდელის, ,,კრიტიკული მეგობრის“, დანერგვა გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი კონტროლი“, რომელთა წარმატებით დანერგვაც უზრუნველყოფს კურიკულუმის გადასინჯვას და განახლებას. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით. მათ აღნიშნეს, რომ მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. მოხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, შედარება, რომელმა რესურსმა ან მეთოდმა უზრუნველყო საფეხურის დონეზე პროგრესი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნის მიღწევა. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, შეფასების შედეგად დანახულ მიგნებებს ასახავს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ისე საფეხურის დონეზე. ასევე გაითვალისწინებენ პრობლემებს, რომლებიც კურიკულუმის დანერგვის პროცესში წარმოიშვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

✓ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები;

✓ შეფასების რუბრიკები;

✓ მასწავლებელთა ინტერვიუ;

✓შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილე და პასუხისმგებელი პირების - სასკოლო საზოგადოების წევრების (კათედრის წევრების, კათედრის თავმჯდომარისა და სკოლის დირექციის) ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტის მიხედვით კათედრაზე ხდება კურიკულუმის შემუშავება, შეთანხმება თემებზე - იმ საგნებში სადაც არ არის სავალდებულო თემები, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე, მიზნის მისაღწევად გამოყენებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, სტრატეგიებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე. კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადაში დირექციას წარუდგენს კათედრის შეხვედრებზე შეთანხმებულ მასალებს. რომელიც შეთანხმებულ დოკუმენტს წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. დოკუმენტის და კათედრების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავება მოხდა განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ინტერესების დასადგენად გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. დოკუმენტში მოცემულია იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების

ინფორმირება და უკუკავშირის მიღება (სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები) . **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; დოკუმენტში მოცემულია კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მაღალ ჩართულობას. კათედრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კათედრის წევრები , VIII - IX კლასის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს. ახალი , 2023 – 2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება მოხდა მოსწავლეთა უკუკავშირისა და თვითშეფასების გათვალისწინებით, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, გამოცდილების გაზიარებით, საკუთარი საქმიანობის ანალიზით, და შედეგების გათვალისწინებით დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნებისა, თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4..სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტებიდან, ასევევ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება გეგმავს გამოკვეთოს რა ფაქტორები უშლიდა თუ უწყობდა ხელს მშობელთა აღნიშნულ პროცესში ჩართულობას და სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მომავალშიც გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას. ამჯერად კი აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. . **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შემნის მეთოდოლოგია
2.საშუალო საფეხურის, X - XI კლასის საგნობრივი კურიკულუმები

3.კითხვარი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის.

2.2.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

6. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
7. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
8. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
10. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია, რომ საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია ,,შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად).;მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.“

ამ ამოცანებისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული კურიკულუმებით წარიმართება სკოლაში სასწავლო პროცესები. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის მაჩვენებელია ის კვლევა,რომელიც ჩაატარა სკოლამ სწავლების ხარისხის ამაღლების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრისა და პრობლემების დაძლევის მიზნით,გამოიკითხნენ მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები. კვლევის შედეგები გაითვალისწინეს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები ,რესურსები, მოსწავლეთა ასაკის,ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შედგენილი.მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად,რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და ამისთვის სთავაზობენ პროექტული და კომპლექსური ტიპის დავალებებს, აჩევით საგნებს. ხელს უწყობენ მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას კლუბური მუშაობის შეთავაზებით,მაგ., აქტიურია კლუბები „ბუნებისდამცველები“,,ერთობა“,,ნერგები“. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის“ .მაგ.,ეს დასტურდება პროექტების: „მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,,დაასუფთავე გარემო“ , „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ რეფლექსიებითა და სკოლის გვერდზე ატვირთული განხორციელებული პროექტების ამსახველი

ფოტომასალით . სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში,ქოუჩინგი არ გაუვლიათ,მაგრამ მიუხედავად ამისა,კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მითითებულია საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად,რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და მზად არიან უფრო ინტენსიურად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები,მოსწავლეებზე ორიენტირებული ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები საშუალო საფეხურზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არ ჰყავთ სსსმ საჭიროების მოსწავლეები,თუმცა სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია საჭიროების შემთხვევაში მოქმედების მექანიზმი.მაგ.სასკოლო- სასწავლო გეგმაში წერია,რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური , ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით , ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით და პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს“.ასევე იკითხება სკოლის ვალდებულება შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნისა შინ სწავლების რეჟიმის დროს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს,რომ მათ აქვთ დიფერენცირების გამოცდილება,შეუძლიათ ,საჭიროებისამებრ პრობლემის ტიპის დროული განსაზღვრა და მის დაძლევაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციების განხორციელება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა, ასევე ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ასევე რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. მათემატიკაში წარმოდგენილია მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების ნიმუში, რომელიც საჭიროებს გარკვეულ შესწორებებს, კერძოთ უნდა დაზუსტდეს სამიზნე ცნების მკვიდრი

წარმოდგენების შესაბამისად ინდიკატორები, რომელშიც ნათლად უნდა ჩანდეს მოსწავლის შედეგები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ ყველა შენიშვნას და მათი გათვალისწინებით შექმნიან ახალ რუბრიკებსაც. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, . პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.*კურიკულუმის მეთოდოლოგია;*

2.*სასკოლო-სასწავლო გეგმა; საგნობრივი კურიკულუმები;*

3.*შეფასების რუბრიკები;*

4.*მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია თემები და მცირე რაოდენობით კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს,სამიზნე ცნებებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ ისინი არ იყვნენ ჩართული ახალი სკოლის მოდელში,არ გაუვლიათ ქოუჩინგი და სწორედ ამის გამო არ გაწერეს სასწავლო პროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. წლევანდელი გამოცდილება დაეხმარება მათ სამომავლოდ სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩოები კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური დავალების პირობის გააზრებით ,საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტის შექმნის პროცესის გასიტყვებით ,რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, განხორციელებული სასწავლო პროექტების-„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის,“ ,„დაასუფთავე გარემო“ , „ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა,“ კლუბების მუშაობის და სოციალურ სივრცეში სკოლის გვერდზე სხვადასხვა აქტივობის ამსახველ მასალებზე დაყრდნობით ,მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით ,შეიძლება ითქვას,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც. საგნებში მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და

განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმს სახელმწიფო ენაში არ ახლავს დანართი თემატური მატრიცების/გეგმების სახით, თუმცა სკოლის მიერ შეგროვებული მონაცემების (შემაჯამებელი დავალებების ,გაკვეთილების) აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ, კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ნტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაცაა შექმნილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების თემატური მატრიცის ნიმმუში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა -სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე, რაც კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში. კერძოდ: სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით,სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, წარმოდგენილია პროექტი, რომლის თემაა: „კულტულური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები შერჩეულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში

ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას ნაცნობი პრობლემის გადაჭრას და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას.

კურიკულუმებში თემები და მის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები ისეა გაწერილი, რომ მოსწავლემ შეძლოს ახალი ცოდნა წინა ცოდნაზე დაყრდნობით შეიძინოს. სწავლა სწავლების პროცესი წარიმართება მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ და მთლიანად სასწავლო პროცესი კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებით წარიმართება. კურიკულუმები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით იძლევა შესაძლებლობას მოსწავლისთვის შეთავაზებული იყოს უკვე ნასწავლი აქტივობება. მასწავლებლებმა ისაუბრეს განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებაზე ,,შიდა სასკოლო ფესტივალი" მძლეოსნობაში, რომელიც შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს, რომლის ფარგლებში ეტაპების მიხედვით განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები მარტივი, უკვე ნასწავლი აქტივობებიდან, შედარებით რთული და ახალ აქტივობებამდე. რაც თავის მხრივ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას შესაბამისად**. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში საშუალო საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები,რომელთა განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების,მაგ.,,„მწიგნობარი", „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა", „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის",„დაასუფთავე გარემო",„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა" დამადასტურებელი მასალები,ზოგადი განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს.

შესწავლილ დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ინტერვიუერებისას დადგინდა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები გააკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე სხვადასხვა შეფასების ზოგად რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი სტრატეგიებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის შესწავლასა და თვითრეგულირებაში. კომპლექსური დავალებებით საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად , ახორციელებენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის კონსტრუირებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში . მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით. კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებსა და შეფასების რუბრიკებში არ ჩანს კითხვები, რომლებიც მიმართულია მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენ. კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე. კლასები მცირერიცხოვანია და მასწავლებლები მოსწავლეებთან იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, რის საფუძველზეც სთავაზობენ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიებს.

სპორტის კათედრის მიერ მოწოდებული კურიკულუმები, მასში გაწერილი აქტივობებით მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას განაპირობებს. საშუალო საფეხურზე მასწავლებელის მიერ გამოყენებული მამოტივირებელი კომენტარები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე, გააცნობიეროს და შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, განსაზღვროს წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი. კომპლექსური დავალებების ფარგლებში განხორციელებულ შიდა საკლასო თუ სასკოლო სპორტულ ფესტივალში მონაწილეობისას მოსწავლეს საშუალება მიეცემა განსაზღვროს რომელი ფიზიკურ თვისების მეტად განვითარება ესაჭიროება, რომელი ვარჯიშები თუ ფიზიკური აქტივობები მეტად დაეხმარა წარმატების მიღწევაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება,სასწავლო გეგმაში უწერია კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლება და დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, გარდა ამისა, სკოლაში საბაზო საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს,მაგ.,„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ , რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ,ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე , მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითხის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ

მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა". სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომლებიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები , ხელნაკეთი ნივთები) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში არაა გაწერილი ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები, მაგრამ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში არის განხორციელებული ინტეგრირებული პროექტები ,მაგ.,„მწიგნობარი", „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა", „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის",,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა" , რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას.

მათემატიკაში კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედავდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების გაკვეთილისთვის გაწერილი პროექტის გეგმა,რომელიც ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან პროექტების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და

კონსტრუირების გარეშე. კათედრა მრავალფეროვანი თემატიკით ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, რაც კარგად ჩანს ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლაში ვიზიტის დროს გადაიღებულ სურათებში. სადაც კარგად ჩანს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე მოსწავლის მიერ შექმნილი მრავალფეროვანი პროდუქტები. ყოველი განსაზღვრული თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, იგი ასევე უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის წინარე ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან, რომელიც მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებაზე და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში.

o საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წარმოდგენილი კურიკულუმიდან და ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნიათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შერჩეული თემები, კომპლექსური დავალებები , კათედრაზე განხორციელებული პროექტები იძლევა საშუალებას მოხდეს საგნების ურთიერთდაკავშირებულად სწავლება. (მაგ: ინტეგრირებული გაკვეთილები და STEM პროექტები და სხვა).

სპორტსი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი კურიკულუმები, რომლის შუალედურ მიზანს კომპლექსური დავალებებით სწავლება წარმოადგენს ორიენტირება საკითხების სიღრმისეულ სწავლებაზე, ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერთდაკავშირებაზე კეთდება აქცენტი კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაში თუ პროექტის მომზადება მოსწავლისგან უკვე ნასწავლი საკითხების წარმოჩენას, ცოდნათა ორგანიზებას მოითხოვს, ხოლო პროექტული სწავლების დროს სწორი ჯანსაღი კვების, მავნე ჩვევების ფარგლებში მოსწავლეები შეძლებენ საგანთა შორის კავშირების დამყარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის X- XI კლასის საგნობრივი კურიკულუმები

2.გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

3. .სამოქალაქო განათლების კლუბი-დებულება,სამოქმედო გეგმა,პროექტების ანგარიშები.
4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
5.სასკოლო სასწავლო გეგმა
6.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა- საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მოწოდებულია ყველა კლასში,გაწერილია ესგ სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი (საფეხურის შედეგები,ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები). მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობისა ,მაგრამ ჩარჩოებში გაწერეს ორი-ორი ან სამი კომპლექსური და სამომავლოდ,განხორციელების შემდეგ,აუცილებლად შეჰმატებენ ჩარჩოს ახალ დავალებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე, განხორციელებული სასწავლო პროექტების-,,მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,,,დაასუფთავე გარემო“,,,ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ , საკლუბო მუშაობის-კლუბი „ერთობა“,,ნერგები“,,,ეკოკლუბი“,სკოლის ფეისბუკგვერდზე ატვირთული სხვადასხვა აქტივობის ამსახველ მასალებზე დაყრდნობით ,მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით ,შეიძლება ითქვას,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა.

მათემატიკის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ამ ეტაპზე არ არის ასახული კომპლექსური დავალებები. თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია კომპლექსურების შერჩევა, რომლებზე დაფუძნებული სწავლება

უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ასევე აღნიშნეს,რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობის, ამიტომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის ზოგიერთი კლასისთვის უკვე შეარჩიეს კომპლექსურები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით გამოკვეთილია, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან საკითხის შესწავლის პარალელურად შემოქმედებით პროცესში, შექმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ყველა კლასისთვის შეარჩევენ კომპლექსურებს.

–უცხოურ ენებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ხდება როგორც ძირითადი თემის ფარგლებში, ასევე შუალედური მიზნების/კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით, სადაც თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ თითოეული თემის ფარგლებში უნდა იქნეს ისეთი აქტივობები შერჩეული, რომლებიც ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას შეუწყობს ხელს და მოსწავლე კომპლექსურად გამოიყენებს და გაიაზრებს შესასაწავლ საკითხს. სკოლის წარმოდგენილი პროექტის გეგმა,რომელიც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლებისთვისაა განკუთვნილი, ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. გეგმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში დაიფარება: საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემით. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე დაეხმარება სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის, პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება მასწავლებლებთან გასაუბრებიდან. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ გაწერენ საშუალო საფეხურის კურიკულუმს,სადაც შეიტანენ მოსწავლეების მიერ არჩეული თემის შესაბამის პროექტებს. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა საშუალო საფეხურზე მასწავლებელბი სთავაზობენ პროექტების განხორციელების დროს შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტები.

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი საზოგადოებრივ მეცნიერებებში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. სპორტში წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნებისა და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. სამიზნე ცნების ფარგლებში შერჩეული თემებიდან გამომდინარე გაწერილია თითოეული თემის ქვეცნებები, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მიცემს გაიაზროს თემის ფარგლებში გათვალისწინებული სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედურ მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომელიც სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებითაა შერჩეული და მოძრავ თამაშებსა და სპორტულ ფესტივალში მოსწავლეთა ჩართულობას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. ყველაფერი ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ. რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს ,რომ სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი კლუბი-„ნერგები“ , „ერთობა“„ეკოკლუბი“. მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში მაგ.,„მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ ,აქტივობებში-დადიან სასწავლო-შემეცნებით ვიზიტებზე,ესწრებიან სპექტაკლებს,რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. ინტრევიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების შესახებ და გამოკვეთეს თუ რამდენ მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. ისაუბრეს თავიანთ წილ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესში, თუ სწორად და დიფერენცირებულად შევარჩევთ დავალებებს, მოსწავლის შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით.

ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დავალებების შესრულებით მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დაეხმარონ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გუნდური მუშაობის უნარ- ჩვევები კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობებს ამყარებს და ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. შესაბამისად მოსწავლე სწავლობს სტრესული და

კონფლიქტური სიტუაციების მართვას, სხვების აზრის პატივისცემას, ეს ეტაპები ნმნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლის თვითშეფასებას, თვითგამოხატვას და სოციალურ ქცევას. აქ განსაკუთრებული როლი აქვს არაფორმალური განათლებას და პროექტულ სწავლებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება;

საზოგადოებრივ მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; აქტივობების და მეთოდის საშუალებით ხელშეწყობა ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარების მრავალფეროვანი აქტივობების (პროექტები, დისკუსია, ინტერვიუ, პოდკასტი, რეპორტაჟი, პოსტერი, პოსტქარდი, კლასის საათი, საჯარო გამოსვლა) სახით. სკოლაში ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას.

სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, მეწარმეობისა და იდეების , სპორტული კლუბები. კლუბები ახორციელებენ სოციალურ პროექტებს , ტარდება ღონისძიებები მდგრადი განვითარების მიზნით.

კურიკულუმების ცხრილში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გაანალიზებისა და ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული საკითხები მოსწავლეებისთვის არ არის რთულად აღსაქმელი, თითოეული დაკავშრებულია ნაცნობ კონტექსტთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებსა და სხვა არაფორმალური აქტივობებზე მუშაობის პორცესში ხელს უწყობენ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, იმუშაონ გუნდურად, ამოიცნონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები და გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

სპორტში კურიკულუმებში შერჩეული თემები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სპორტული აქტივობები, ჩატარებული საკლასო/სასკოლო ღონისძიებები მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური უნარების განვითარებას განაპირობებს. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ ეს უნარები განსაკუთრებით გუნდური თამაშების დროს ვლინდება. მოსწავლეები ეჩვევიან მოგება/წაგებას,

ემოციების მართვას, ერთმანეთზე დახმარებასა და ზრუნვას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. კურიკულუმებში სამიზნე ცნება ,, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი", რომელიც თითქმის ყველა თემაში მუშავდება მოსწავლეებისგან მოითხოვს ემოციების მართვას, გუნდურობას, თანამშრომლობას. რომლის გათვალისწინება მოსწავლეს უწევს არამარტო სასწავლო პროცესის, არამედ კომპლექსური დავალების ფარგლებში განხორციელებულ ფესტივალსა და მოძრავ თამაშებში მონაწილეობისას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლამ შეარჩია შეფასების პირველი მოდელი .სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ , რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებს ,კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ეს რუბრიკები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას.რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით. ასევე წარმოდგენილი მათემატიკის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითო ნიმუში ზოგადია, საჭიროებს თემის ფარგლებში დაკონკრეტებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, ხოლო პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. ესთეტიკის კათედრის საშუალო საფეხურზე,პროექტული სწავლების დროს, მოსწავლეების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების სქემებით. ორიენტირად მოიაზრება შეფასების ინდიკატორები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ისინი განსაზღვრულია თითოეულ სარეკომენდაციო

თემასთვის და დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ, კათდრას აქვს შეფასების სისტემების აქტიურ პრაქტიკა,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.

ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას.

საზ.მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. **კ**ათედრის მიერ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტულად ერთი თემიდან ,,მძლეოსნობიდან“ გამომდინარე, რომელიც მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზეა ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასება რუბრიკიდან გამომდინარე ხდება თითოეული სამიზნე ცნებიდან გამომდინარე. მაგალითად სამიზნე ცნება ,,ფიზიკური თვისებების“ ფარგლებში მოსწავლემ ფიზიკური თვისებების განვითარება უნდა შეძლოს ფიტნეს აქტივობებში ჩართულობით, სამიზნე ცნება ,,ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ფარგლებში ფასდება გუნდურობა, ემოციების მართვა, თანამშრომლობა, დისციპლინის, უსაფრთხოების წესების დაცვა. ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს მოსწავლეთა ცოდნის დონე კონკრეტული სამიზნე ცნების ფარგლებში. მაგალითად ხტომის ელემენტების შესწავლისას მოსწავლის შეფასება მოხდება მასწავლებლის მითითებით მოძრაობის დაწყება; გამორბენისას არეკნი ნიშნულიდან; დახტომი სრულდება ჩაჯდომით, მუხლებში მოხრით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი თიპის რუბრიკები იქნება შემუშავებული თემებიდან გამომდინარე. გამომდინარე აქედან გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა მთლიანად ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები . ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. სახელმწიფო ენის კათედრა მზადაა, რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. სკოლის სასწავლო გეგმაში აღწერილია თუ როგორ და

რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით). მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით კონკრეტული თემების შესაბამისი და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი) სკოლას აქვს სწორი ხედვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელი იყენებს შეფასების რუბრიკებს. ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს მოსწავლეთა შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე და ობიექტური. ეს მეთოდი მოსწავლეებს წინასწარ ამზადებს და დადებითად მოქმედებს მათ ემოციურ განწყობაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესშივე აძლევს ზეპირ განმავითარებელ შეფასებებს და ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე ,მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგებზე, თვითშეფასებაზე დაყრდნობით ,შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის ცალკეული ელემენტები გვხვდება. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მასწავლებლები აანალიზებენ რა ფაქტორები განსაზღვრავდა წარმატებას , რა იყო წარუმატებლობის მიზეზი და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლას წარმოდგენილი აქვს აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი,რომელშიც გათვალისწინებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპი, პროცესის აღწერა და შედეგების ანალიზი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების მათი შენახვის წესი ონლაინ ფორმატში;

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. ყოველწლიური ნამუშევრები ინახება ერთი წლის ვადით, სკოლაში არის ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნების წიგნი, რომელშიც 2009 წლიდან აღირიცხება სემესტრული და წლიური შეფასებები, ასევე დაარქივებულია მატერიალური ჟურნალები 25 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები და მტკიცებულებები ინახება მოსწავლის პირად საქმეში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
2.ვერიფიკაციის მექანიზმი
3.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრის წევრებთან ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ სკოლაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები , არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც . მასწავლებლებმა,დაადასტურეს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ფაქტები,რომ მხარდამჭერი ჯგუფის მიერ პერიოდულად ხორციელდება მასწავლებელთა განვითარებისა თუ კონკრეტულ საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობები,რაც ხელს უწყობს თანამოაზრეთა გუნდისა და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას.

სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის,წარმოაჩენს სასწავლო პროცესში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. სკოლაში ტარდება

სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ,.სასკოლო - სასწავლო გეგმაში, უწერია, რომ სკოლის მისიაა ხარისხიანი განათლებით მაღალი ღირებულებების მქონე ახალგაზრდების აღზრდა.ასევე, წარმოდგენილი აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს .მასწავლებლის რეფლექსიის ფორმაც წარმოაჩენს ამ პროცესს. გარდა ამისა,ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო,ამას მაფიქრებინებს სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების „მწიგნობარი“, „ბიომრავალფეროვნების შექმნა, ხეხილის ბაღის მოწყობა“, „დედამიწა ტირის, დედამიწა იცინის“,„დაასუფთავე გარემო“,„ავტომატიზირებული მორწყვის სისტემა“ განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,სოციალურ სივრცეში სკოლის გვერდზე ატვირთული მასალები ,საკლუბო მუშაობა- კლუბები „ნერგები“,„ეკოკლუბი“,„ერთობა“. ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლეებში მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას და მათს სამომავლო წარმატებულ ინტეგრაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის წევრები რომ მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრის ოქმებში.კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს ,ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს მხარდამჭერი ჯგუფი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინტერვიუდან ვადგენთ, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებით, შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით ,რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ასევე,პოზიტიური

კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კონფერენციის, ოლიმპიადების, პროექტებისა თუ საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი მასალები. ვფიქრობ,იქ,სადაც ,ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მოსწავლეთა მხარდაჭერა
2.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
5.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მოსწავლეებისათვის
6. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მშობლებისათვის;
7. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-წახალისების ფორმები;
8.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;
9. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის ჯგუფის დებულება;
10. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად.

სკოლაში ხდება მონიტორინგი, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, შეფასება წარმოადგენს, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.მოსწავლეთა მხარდაჭერა
2.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
5.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მოსწავლეებისათვის
6. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-კითხვარი მშობლებისათვის;
7. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-წახალისების ფორმები;
8.ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;
9. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისიხის ჯგუფის დებულება;
10. ქვედა ნაგვაზაოს საჯაროს სკოლის ავტორიზაციისათვის-ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. 2023-2024 საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ.წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. სადაც ჩანს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომელიც ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება, როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა ისეთ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა: მასწავლებლის დაკვირვება, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზ, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირი.საგნობრივ კურიკულუმებში და სხვადასხვა ტიპის პროექტებში. ჩანს, რომ შეფასების სისტემის ჰოლისტურობა პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან. მასწავლებლებს აქვთ მზაობა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება,რომლიც საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თემების შინაარსს,

მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. კათედრის წევრები საუბრობდნენ როგორც ფორმალური ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ წინა წლებში შეფასებისას არ გამოუყენებიათ მონაცემთა შეგროვების რაიმე კონკრეტული მეთოდი, თუმცა 2023-2024 სასწავლი წელში სკოლაში მასწავლებელთა ანალიზის საფუძველზე მონაცემთა შეგროვებისთვის განხორციელდება ანკეტირების მეთოდი, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სპეციალური კითხვარის დარიგებას, რაც შესაძლებლობას მიცემთ გამოავლინონ საუთარი დამოკიდებულება და საჭიროება. მასწავლებლებთან შეხვედრისას აღნიშნეს, სკოლაში შფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ანკეტირება, ინტერვიუ, გამოკითხვა, ხოლო ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის საფუძველზე მოხდება სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის მიერ მონაცემთა შეგროვებისათვის ასევე გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ მოწოდებულმა დოკუმენტაციამ, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება ყველა ის გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის უნარებზე, იქნება ეს ოჯახური თუ ეკონომიური მდგომარეობა, სოციალური წრე, დრო, სივრცე. მნიშვნელოვანია ასევე მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სადაც დადგინდება მოსწავლის ფსიქო სოციალური მდგომარეობა, ინდივიდუალური საჭიროება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობა, რომელთა დიაგნოსტირებისას მოხდება მოსწავლეთა უნარების გამოვლენა, რომლის შესაბამისად მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო -სასწავლო გეგმა

2.საგნობრივი კურიკულუმები

3.სკოლის თვითშეფასების ფორმა

4.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის სამომავლოდ განვითარებისათვის სკოლა ამ ეტაპზეც ახდენს და სამომავლოდ უფრო მეტი კოორდინირებით და მულტიფატქორული მიდგომებით გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შედეგების გაანალიზებას, გაკვეთილების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ განსაზღვრულია ის პრინციპები (მუხლი 1.2, გვ. 2), რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. ამავე დოკუმენტში (1.3.1) ვკითხულობთ: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება... “, ჩანს სკოლის ხედვა, როგორ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მათი შეხედულებების გაზიარება. პროცესში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება კათედრების მუშაობას. ,,2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში“ მდგომარეობის კრიტიკული ანალიზის მიმართულებით (გვ. 10) ვკითხულობთ: ,, კვლევისათვის კათედრამ უნდა გამოიყენოს: ჟურნალები, თემატური გეგმები, ტესტები, შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების შედეგები, ინტერვიუები, გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერები და სხვა.“ ამავე დოკუმენტში (გვ.11) მოცემულია მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისათვის განსახორციელებელი აქტივობები, კერძოდ: ,, საგნის/საგნების სწავლების ორგანიზება და მათი სასწავლო კურიკულუმები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ესგ-ს საფუძველზე სასწავლო პროგრამების, მეთოდური მითითებების შემუშავება და აპრობაცია; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და განხორციელება; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების რეგულარული განხილვა; მოდელის, ,,კრიტიკული მეგობრის“, დანერგვა გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი კონტროლი“, რომელთა წარმატებით დანერგვაც უზრუნველყოფს კურიკულუმის გადასინჯვას და განახლებას. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით. მათ აღნიშნეს, რომ მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. მოხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, შედარება, რომელმა რესურსმა ან მეთოდმა უზრუნველყო საფეხურის დონეზე პროგრესი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნის მიღწევა. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, შეფასების შედეგად დანახულ მიგნებებს ასახავს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ისე საფეხურის დონეზე. ასევე გაითვალისწინებენ პრობლემებს, რომლებიც კურიკულუმის დანერგვის პროცესში წარმოიშვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

✓ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები;

✓ შეფასების რუბრიკები;

✓ მასწავლებელთა ინტერვიუ;

✓შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი: 16 ნოემბერი. 2023 წ.